

ՀԱՅԿԱՅԻՆ
ՔՐԻՍՏՈՒԹՅԱՆ

ՀԱՅԱԿԱՅԻՆ

129.






ჟურნალ „ჯეჯილისა“


I	ლორუბელი ლექსი — ი. ბუღიაშვილისა	3
II	„ჩი ჟუნია“ (თარგმანი) — ნ. ჯანაშიასი	5
III	უბედური მდიდარი (რუსულიდან) — ს. ვაშაძესი	8
IV	თომა ედვარდის ყმაწვილობა თარგმანი — ან. წ — ისა	10
V	მსუნავი ლექსი მ. ლუღაშვილისა	28
VI	მოხერხებული მელა (გადმოღებული) — კახ-იმერჯისა	30
VII	ლოდი ჯენ, მოთხრობა, გაკრძელება — ელ. წერეთლისა	31
VIII	ბაქტერიები ანუ ბაცილები (დასასრული) — ი. გამაჭთღისა	48
IX	ყრმის საფლავზე ლექსი — დ. თომაშვილისა	59
X	ჯამბაზი (თარგმანი) — ს. ციციშვილისა	61
XI	ქვის საუკუნის ბავშვები შემდეგი — ეკ. მ — სა	81
XII	წერილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ეპიტები სი. ანაგრამა, შარადა და რებუსი	91



თანხმათ მათი ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სანმარებლათ.



ვისაც ჟურნალ „ჯეჯილის“ მხოლოდ ნახევარ წლის ყუფილი აქვთ შემოტანილი იმათ ეს ნომერი აღარ გაგვხვდებათ.



ქართული
ლიტერატურა



საქართველოს ნახატებიანი

ჟურნალი

იხსრდე, შუკანე ჟეჟილო
დაბურდი, 'გასდი უანო!..
ო. დ.

№ VII - VIII

129.

წელიწადი მეთორმეტე



თბილისი

სტამბა ტ. შ. როტინიანცის, № 41 | Тип. Т. М. Ротинианца, Гол. пр. № 41

1901

Доволнено цензурою. Тифлисъ, 8-го Августа 1901 г.



ღ რ უ ბ ე ლ ი.

(გადმოღებული)

129.



ვალვისგან გამხმარ ენას ღრუბელმა
წვეთი წვიმისა: აღარ არგუნა;
გასცილდა სმელეთს და იქვე სღვაში
კაკის-პირული ჩაუმსახუნა.

და ეს სიბრძევე მთას წააქანდა:
აბა, ძენედე, რა უხვი ვარო!
ისევ აქ მიჯობს, თორემ სმელეთსე
განა გავვიჟდი, რომ წვეთი ვღვარო?

მთამ ბუმბერაზმა, ნაღვლით ავსილმა,
მის სისულელე აღარ დაჭყიტა,
თავი ჩაქინდრა და პერე წუნარათ
ღრუბელს ამკვარი ჰასუნი მისცა:

«აბა მითხარი, შე უსამართლო,
 რათ არ გავლებე შენ მიწა მშრალი?..
 სომ სედავ, გვალვამ მოსწრა ეანები
 და აატირა მუშა მამურალი?»

ისე რათ წახდი და გაგულგრილდი,
 არ შეიცოდე გლეხი საწყალი?
 აბა მითხარი მართლბა, ტუტუტო,
 უშენოთაც-კი აკლდა სღვას წყალი?..

ჩვენს ცხოვრებაშიც იძისდა ნაცვლათ,
 რომ ღარიბს. მისცენ,—ძალა უმატონ,
 არ დაგიდევენ ჭკუას და უნდათ,
 სადაც ბევრია, იქ მიუმატონ.

ი. ბელიაშვილი.





„ჩ ი ტ უ ნ ი ა“.

აშინელი ქარიშხალი იყო. ინგლისის ერთ ნავთსადგურზე საღის თავი მოეყარა და უცდიდა გემის მშვიდობიანათ ნავთსადგურში შემოსვლას. აგერ რამდენიმე საათია, რაც ეს გემი აბობოქრებულ ზღვის ტალღებს აღმა-დაღმა დააქვთ და, ვინ იცის, როდის ჩანთქავენ თავის უფსკრულში. საღისი გულ-მხურვალეთ უფაღს ეკედრებოდა, რომ მას ესენა სიფათისაგან გემი და მასში მსხდომნი.

უცბათ უშველებელმა ტალღამ გემი ნაფოტავით სევეით ააგდო, გადაბორუნა და თვალის დასამსამებზე ჩაძირა! ვინ იცის, რამდენი სული დაიღუპა! ნაზირში მდგომ საღისში ქვითინი მოისმა: ტირილენ იმ საცოდაუებს, ვინც ზღვის მსხვერპლი გახდარიყო.

ამ დროს შორს, ძლიან შორს შეაძინეს რაღაც პატარა შავი წერტილივით, რომელიც თუქვა ძლიან ნელა, მკრამ მანს ნაზირს უახლოვდებოდა. ჩქარა გააჩიეს, რომ



ქართული
საბჭოთაო

ის იყო ძალდი. მას ზირით მოჰყავდა ზატარა ბავში. ბავში ძლივ-ძლიობით სუნთქავდა. გონიერ ძალღს ეჭირა ზვირ-თებ ზევით, რომ ბავშს ზირში წყალი არ ჩასლოდა. დიდ ხანს ებრძოლა ძალდი განრისხებულ ტაღლებს და ბოლოს ნაზირს მოაღწია თავისი ძვირფასი ტვირთით. ნაზირზე ამოვიდა თუ არა, გონიერმა ძალღმა ეველა იქ მდგომთ თვალიერება დაუწყო, თითქო ვისძეს ეძებსო, გამოარჩია ერთი მოხუცი, მიიყვანა თავისი ბავში და მის ფეხ-ქვეშ დააწვინა. ძალდი არ შეცდა. ეს მოხუცი გულ-ღმობიერი გამოდგა, აიყვანა ცოცხალ-ძვედარი ბავში და ალერსით საკუთარი შვილივით გამოისარდა. ძალდი ამ დღეს იქით არაოდეს არ ცილდებოდა ზატარა ბავშს; სულ კუღში დასდევდა. მეტადრე უურადღებით უყურებდა ბავშს, როცა ის ზღვის ზირათ თამაშობდა, — სულ მასთან იყო და თვალს არ ამორებდა, ზღვაში არ გადაძვირდესო! როცა ქარიშხალი ამოვარდებოდა ძალდი ეუფას მორთავდა და ბავშს შინ ეზატყებოდა. იმ შემთხვევაში-კი, როცა ბავში შინ წასვლას ეურჩებოდა, ძალდი ჩაფრინდებოდა მას კალთაში და ძლათ შინ მიათრევდა! ძალღს კარგათ ახსოვდა, თუ რა გაჭირვება გამოიარა ბავშმა ზღვაში და ეშინოდა ეს მეორეჯერ არ განძეორებულყო. ბავშსაც გაგიყებით უეზარდა თავისი შხსნელი ძალდი, რომელსაც სახელათ დაარქვა «ჩიტუნია».

კაი ხანს შემდეგ «ჩიტუნიაძვე» უზოვა ბავშს თავისი დედა, და აი როგორ: თურძე კემის დაღუქვის დროს ამის



დედა ეოფილიყო კემის ძირის ოთახში. დედას ჰკონებია, ჩემი ბავში დაიდუნაო და თურქე გამოიგლოვა. ერთხელ დედა დასეირნობდა ბაღში, უცბათ ძაღლი, თავისი ძველი ერთგული ძაღლი მოვარდა მასთან და ალერსი დაუწყო. დედამ გამოიკითხა, შეიტყო ეველაფერი და მის სინარულს სასდვარი არა ჰქონდა!

ნ. ჯანაშია.



უგელური გლიდაჩი.

(რუსულიდან).



ესობლებათ ცხოვრობდენ ორი
 ძლიდარი ჩაის მოვაჭრე. მათი
 საქმე კარგათ მიდიოდა; ყოვე-
 ლისუგერი უხვათ ჭქონდათ, მაგ-
 რამ ისინი ძანც არ იუვენ
 ბედნიერნი იმისათვის, რომ
 ერთმანეთი ძულდათ; სიბორო-
 ტე უძლიდა მათ მოსვენებით
 მიღს. ერთმა მათგანს მოიწვიან თავისთან ბრძენი და უთხ-
 რა: «ჩემი ვაჭრობა წარმატებით მიდის, ჩაის მოსავალიც
 მშვენიერი გვაქვს, მაგრამ მე ძანც არ შემიძლიან მოსვენე-
 ბით მიღი: მშურს ჩემი მესობლის ბედნიერება. მასწავლეთ,
 როგორ ავიცილო თავიდან ძური და მშვიდობიანათ დავი-
 ძინო სოღმე». ბრძენმა ცოტა მოაუქრების შეძლეკ უთხრა:

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
სამართლებრივი
სამსახური

«მოიქეცი ისე, როგორც მე გირჩიო და მშვიდობიანად და-
იძინებ სოლომე; ხედავ, ცასე გამოჩნდა ღრუბელი, ძალე წვი-
მაც მოვა! შენ მესობელს-კი ესოდო უყრია ჩიი გასახმო-
ბათ; ამასთანავე არც ის და არც მისი ცოლი შინ არ
არჩიან, წადი, შეგროვე ჩიი ტომრებში და შეინახე იძის
სახლში და მეც მოგესმარებო». მართლაც წავიდენ, აკრი-
ფეს ჩიი და ის იყო შეიტანეს უკანასკნელი ტომარა სახლ-
ში, რომ მოვიდა კოკის-პირული წვიმა.

ჩაის ზატრონი ძალე დაბრუნდა სახლში; გსახე საბ-
რალა ფიქრობდა, რომ ჩიი მთლათ დაედუქებოდა, რო-
დესაც შინ მივიდა და ნახა, რომ მისი ჩიი უკნებლათ
შეუნახავს და გადურჩენია მის მესობელ ვაჭარს, რომე-
ლიც მას თვალის დასახახავათაც-კი ეჯავრებოდა. მე-
ტათ გაქნარდა, სინარულით მიიბრინა მასთან, სიეკარუ-
ლით გადაეხეკია და მადლობის ნიშნათ ეძებოდა. მეორე
დღეს უძილობის მოჩივარი ვაჭარი მივიდა ისევე იმ ბრძენ-
თან, რომელმაც დაარიგა და დიდი მადლობა გამოუცხადა
და უთხრა: «დიდი ხანია ასე ტკბილათ და მოსვენებით მე
არ მძინებია, როგორც წუხელი; დიდი ხანია არ მიგრძენია
თავი ისე კარგათ, როგორც ახლავ; მე და ჩემ მესობელ მო-
რის მოიხლო ეოველი შური და მტრობა და დღეის იქით
დიდი მოსიუვარულე მეგობრები გავსდითო.

ბ. ვაშაძე.



თომა ედვარდის ამანვილოვა.



ღვის ჰირას, შოტლანდიაში, არის ერთი დიდი ქალაქი, სასულათ ებერდინი. ახლა ეს ქალაქი მშენივნით არის გამართული, მაგრამ ოთხმოცი წლის წინეთ სულ სხვა იყო, მოძორებული უბნები უფრო სოფელს მიეკვანებოდა; ერთ ამისთანა უბანში, ნაზოლეონის ომის შემდეგ, დასასლდა ჯარში ნაძყოფი კაცი ჯონ ედვარდი.

ჯონ ედვარდი სახანაშ შევიდოდა ნაზოლეონის ჯარში საქსოვ ფაბრიკაში ბუშობდა და როდესაც სამსახურიდან გამოვიდა, ცოტა ხანს შემდეგ, ოჯახის გამოსაყვებათ მოიგონა თავის აღრინდელი სელობა.

მას ოჯახი დიდი არა ჰქავდა: ახალგაზრდა ცოლი და ორი ჰატარა ვაჟი; ერთი ამთვანი, თომა, დაიბადა 1814 წ. ეს ემსწვილი სულ რამდენიმე თვისა იქნებოდა, როდესაც ოჯახი გადასასლდა ქალაქ ებერდინს.

ქართული
ლიტერატურის
მეცნიერებათა
ინსტიტუტი

უველამ კარგათ იცის რამდენ შეწუხებას და დაჟინებას აყენებს ჰატარა ბავში დედას, რამდენ დროს აკარგონებს მას. სოკჯერ სსწუალ დედას არც დღითი და არც ღამით მოსვენება არა აქვს, მაგრამ უველასე მეტ გასაჭირში იყო თომას დედა.

ოთხი თვისა შესრულდა თუ არა თომა დედას კალთაში აღარ უდგებოდა და ჩამოცურდებოდა სოლმე ძირს ბუხების დასაჭერათ. ფენი აიღვა თუ არა, მაშინ უფრო ძნელი გასამდღისი გახდა. თვალს მოაძორებდა თუ არა კაცი, ის აცოცდებოდა ფანჯრებსე და ხელებს გაიძეკრდა ჭიების დასაჭერათ, ან გავარდებოდა ქუჩაში და დაწოკებდა ქათმებს, ან კატებს და ძაღლებს დასდევდა. თომას თავის უბანში არც ერთი ზირუტევი არ დაჩა გაუცნობელი, დაუძეგობრდა დედა ღორს—ბეტს და მის გოჭებს და ესენი ისე შეიყვარა, რომ—როგორც-კი თომა თვალიდან მიიმძღებოდა—დედა საძებნელათ მაშინვე საღორესკენ გასწევდა და ძართლავ უსათუოთ იქ იწოვიდა. იჯდა სოლმე თომა გოჭებთან და სიუვარულით შეცქეროდა.

ერთხელ თომა, მეორე წელიწადში რომ ჩადგა, უცბათ დაიკარგა. დათვალთერეს უველა კუნჭულები, საქათმეები, თავლები, ბოსლები—ვერსად ვერ ნახეს.

ამ ხანში ქალაქის ახლოს ბოძებმა გაიმართეს ბინა. «უსათუოთ ჰატარა თომა ბოძებმა თუ მომტაცეს!.. გაიფიქრა საბრალთ დედამ; მის დასამძვიდებლათ თომას ბიძა და სა-



მი მესობელი კაცი წავიდენ ბოძებთან და დაუწვეს მათ ვა-
მოკითხვა დაკარგულ ბავშვს. ბოძები გაბრუნდენ, რათ გვე-
მებენ ბავშვის მოძარკასო და ეს კაცები ძალიან მიბერტყეს.
ნანტყნი დაბრუნდენ ცარიელნი გამწარებულ დედასთან.

ის იყო ახლა სხვებმა დააპირეს წასვლა თომას საძებნელათ.
ამ დროს მოვიდა მელორე დედაკაცი და გამწარებულ დედას
ჩაუგორა ბავში კალთაში.

— რატომ უურს არ უკლებთ ამ ბავშს! როდისმე ჩემი
ბეტისი გადაულაზავს მას.

სადღორეში ეოყილა თურძე სტუმრათ თომა.

ცოტათ მოიხარდა თუ არა ეძაწვილი დაიწყო ხშირათ
სღვის ზირათ სიარული, ძალიან უყვარდა ამ მხარეში სე-
ინობა, მეტადრე მის უურადლებას იქცევდა. ის ადგილები,
სადაც ნაგავს და ბინძურს რამეებს ჰქრიდენ. რა ბედნიერი
იყო სოღძე ჰატარა თომა, რომ მიანწევდა სღვის ზირას.
დმერთო ჩემო! რას არ სედავდა აქა? ვირთაგვეები შექცეო-
დენ სისამკლეებს და მერე ტაღახიან გუბეებიდან წეახს
სვამდენ, იქვე ლურჯი, სხვილი ხარაბურები ქექავდენ სიბინ-
ძურეს. მათ ახლოსვე ჭიანჭველა მიწაში გხას იკეთებდა; მო-
რი-ახლოს-კი თხუნელა ჩემ-ჩემათ ეძარებოდა. მეორე ჭიან-
ჭველურა გლავდა ჩემათ თავის მოძებნისაგან. ბურები
სუელ სხვა-და-სხვანაირი — აუარება იყო; სვლიკების-კი უხა-
როდათ და იმითი ზირს იტკბანურებდენ; ერთი მთვანი რა
ძარდათ ვარბოდა მხისკენ და კუდს აქეთ-იქით აქნევდა. თო-

საქართველო
საქართველოს

მა რომ სევში გადისედავდა რას არ ნახავდა!.. წყალი სწავსე იყო სწავა-და-სწავა დიდი და ჰატარა მახინჯი კომბალაებით. მათი მთელი რწმინდი სულ ჰატარ-ჰატარები, თითქოს შავი ქინძისთავებიანო, მოექანებოდა წყლის მკუნარუებთან ერთად. სევის სიღრმეში მოჩანს ცხენის წურბელა, რომელიც ვეღლივით იკლანება და უძვრება ჭრიჭინას ქვეშ. მაგრამ ჭრიჭინა აფრენის დროს ასწრობს წყლის ბუჩქის დაჭერას, რომელსაც თურმე სიამოვნებით უდარაჯებდა ვეებერთელა ბაყაუი. მსე მშვენივრათ ანათებს, ათბობს, მწვანე ბაღასს ბიბინი გააქვს. სის ჰაწაწა თომა და მის წინ ყვიღ-ხვიღლი გააქვს ბუზანკალებს, ჭია-ღუებს, რამდენ რამეს ავირდება ეძაწვილი და სწავლობს.

თომა უცქეროდა, უცქეროდა სიამოვნებით ამ ჭია-ღუებს და მერე ერთბაშით სტაცებდა ხელს, ეძაწვილი ჯერ ერეოდა მხოლოდ წვილი-ყარინას, ბაყაუს, ღოკოკინის ჭიას, მერე როცა მოინახრდა ადვილათ იჭერდა მოძრავ ხვლიკს, წურბელას და ბოლოს გაუადვილოდა ჰატარა თავუების დაჭერაც. — სოგჯერ ამ თავუებს დედა-ბუდიანათაც დაიჭერდა; მერე ცოტ-ცოტა მიჭეო ხელი ფრინველებს, თხუნელებს, ხლარბებს და სხვას.

ყველა ამებს სიდავდა თავის სასლში, აქ ეს მგენიერი ჰატარა ცხოველები გაიფანტ-გამოიფანტებოდნენ მესობლებში და ბბა მაშინ ატყდებოდა დიდი დაუიდარბა; მოჭეკებოდნენ თომას ლანძვლა-გინებას, რომ ამისთანა საძაგ-



ლებს მოათრევს ხოლმეო. ზოგჯერ დედა ძთლათ ეველს მო-
ტანილს გადუქრიდა გარეთ და სასტიკათ აუკრძალავდა კვლავ
ამისთანა სისამაგლის მოტანას. მაგრამ თომა ჩაიგდებდა
დროს თუ არა განიდებოდა თავის საუკარელ ზღვის ჰირას
ნავაგში და ვერ მოითქმენდა, რომ არ მოეხიდნა სახლში
თავისი საუკარელი ცხოველები.

თომას ჭკუა-გონება სულ თავის საუკარელ ცხოველებ-
თან იყო. ზოგჯერ დედა სადილს გაატანდა მამასთან, ეძაწ-
ვილი-კი სადმე გზასე გამოუდგებოდა ფრინველს და სულ
დააუიწუდებოდა რისთვისაც კავსაენეს. ხან-და-ხან დედას
დასჭირდებოდა სახლიდან საქმესე წასვლა, თომას ჩააბარებ-
და მის ზატარა დას მოსავლელათ, მაგრამ როცა დაბრუნ-
დებოდა სახლში ნახავდა, რომ თომა სადღაც გამქრალიყო,
მხოლოთ ღამე დასამინებლათ შემოვიდოდა სახლში.

— მაგისთვის არც სადილია და არც სამხარი, ძთელ
დღეობით უსმელ-უტმელია ხოლმე მავ დაწვევლილ ცხო-
ველების გამო. უნდა როგორმე მოვამოროთ მავ საძაგლო-
ბას, ჯონ, ჩივილით უთხრა ერთხელ ეძაწვილის დედამ თავის
ქმარს.

— როგორ უნდა მოვამორო მავ საძაგლებს? უპასუხა
ქმარმა, — კუდში სომ ვერ ვდევნი! დასჯა-კი საჭიროა, მეტი
გზა არ არი უნდა დაუბათ.

დედამ დაიწყო სხვა-და-სხვა საშუალების სძარება შვი-
ლის სახლში დასარჩენათ. ერთხელ თომას დაუძალა ტანი-

სამოსი, თითქმის ზერანგის ამარას დააჩინა, ხელები თოკით შეუბოჭა, ფეხები მიუბა დიდ მავიდას და ისე გავიდა სახლიდან.

მაგრამ გაიგულა დედა თუ არა თომა, მაშინვე დიდი სიძარჯვეთი გაიხსნა ხელები, ჰატარა დის საშუალებით მიათრია დიდი მავიდა ტეცხლთან, გადასწვა თოკი, რომლითაც ფეხები ჰქონდა მიბმული და ისე განთავისუფლდა, მაგრამ ტანისამოსის ჰოვნა-კი გაუძნელდა. სხვა რო ვერა გააწეო-რა ჩაიყვანა უფროსი ძმის ჰალტო და ის იყო უნდა წასულიყო, რომ შემოესმა დედის ფეხის ხმა. თომა კარებს უკან დაიმაღლა და როგორც-კი დედამ შემოაღო კარი იმან იხელა და გაჰკურცხლა კარში.

მეორეთ მამამ დაუმაღლა ძმის ტანისამოსიც და მისი-კითან წაიღო ფაბრიკაში.

ერთხელ თომა გაიღვიძა, მოუნდა საშინლათ გასეირნება, დახეთ, რა უბედურება! ტანისამოსი არა აქვს-რა. დაიწყო მწარეთ ტირილი. დედამ შეიბრალა და მისცა თავისი ძველი იუბკა, დარწმუნებული იყო, რომ იმითი ემსწვილი შორს არსად არ წავიდოდა. საქმე სხვანაირათ მოიწეო! თომა როგორ წარმოიდგენდა რომ მთელი დღე სახლში უნდა მჯდარიყო და არ წასულიყო თავის საყვარელ ზღვის ჰირას. გავიდა დედა სახლიდან თუ არა—ემსწვილიც გაქრა... დაბრუნდა მამა სამუშაოდან ვახშმათ.

— თომას მინავს? იკითხა მან.

— ძაღლს-კი არა, შენ, ვაჟბატონო, შენ დაგბაძვ ჯაჭვით.

თომას დაბმა ჯაჭვით აღარ მოუხდათ, მეორე დღეს, თუმცა თავის უნებურათ, მანც სახლიდან ვეღარ გამოვიდა. დამევე მისცა სიცხე და მოჰყვა ბოღვას. ის სიცხეში ღანაწარაკობდა სულ მოძღერალ ფრინველებსე, ნაცრისფერ თაკვებსე და თავის საკვარელ ჭია-ღუებსე. მთელი საძი თვე იწვა თომა უკონოთ, ანთებით. გამობრუნდა თუ არა ავანთყოფობიდან ჰირველი მისი კითხვა ის იყო.

— დედილო! სად არი ჩემი კიბოები, რომელიც გუშინ დაფიჭირე?

— ბოღავ, შვილო? უთხრა დედამ, — შენ საძი თვეა ავანთა ხარ...

თომა ვერას მიუხვდა.

— დედილო, რაო, მამამ იშოვა ჩემთვის ჯაჭვი?

— არა, ჩემო თომავ, შენ ახლა ჭკვიანი ხარ, სისულელეებს თავს დახანებებ... რაღა საჭიროა შენთვის ჯაჭვი?

— დედილო, სად არი ჩემი თაკვი?

— კატამ შეჭამა.

თომამ დაიწყო ტირილი.

რა ბედნიერათ იგონო თომამ თავი, როდესაც მამამ დიმილით და ალერსით უთხრა:

— აბა, თომავ, ძაღლე შეგემლება კასეინება, შენმა ხატარა ცხოველებმა უშენოთ მოიწუინეს.



როდესაც თომას სეირნობის ნება მისცეს მალე გამო-
 კეთდა. რანაირათ სინარულით უძებრდა მას ჰატარა კული,
 როდესაც ავანთყოფობის შემდეგ პირველათ მივიდა თავის
 საუბარელ წღვის პირას!..

ახლა უფრო შორს დადიოდა სასეირნოთ—ტყეებში და
 მინდვრებში. ქალაქის გარე მდებარეობა სულ გაიცნო. მთე-
 ლი დღეობით დაკარგული იყო. ხან ხეებზე ცოცხავდა და
 ხან ციცაბოებზე. ახლა ცხოველების და ფრინველების გარდა
 მკენარების შესწავლაში იყო. ფოთლებს, ევაფილებს, მათ ლე-
 რეებს შინჯავდა, და აცქერდებოდა, ათვალიერებდა, როგორი
 თესლიდან ამოდის ბალახიო, მხოლოთ ვერ შეგეტო ციცა-
 ბოები, რომელსედაც ისე უსრუნველათ დარბოდა, როგორ
 იზრდებოდენ. ამას საიდან შეიტუობდა? ვინ ეტყოდა? ერთ-
 ხელ თომამ გასწია კლდის მტკესელებთან. უსათუოთ ისინი
 შეტუიანო.

— ერთი მითხარით, როგორ იზრდებიან ეს ციცაბოები
 და კლდეები? ჰკითხა მან ერთხელ ერთ კლდის მტკესელს.

— რაო? შენ ეი, ბიჭო, კაკიჯდი თუ რა არი? მომ-
 შორდი აქედან, თორემ ისე მიგტყევაჰა რომ...

თომამ მანც ვერ შეიტყო, თუ როგორ იზრდებიან
 კლდეები და ციცაბოები. მაგრამ დღითი დღე უფრო ბევრ
 ფრინველებს და ცხოველებს ცნობულობდა. არავინ არ იყო
 ისე დახელოვნებული ბუდეების პოვნაში, როგორც ჰაწაწა

თომა. იმან იცოდა რომელი ეკერცნი, რომელი ფრინული-
სა და სად რა ბუდეს.

სძირათ თომა რომ დასეირნობდა ბიჭბუჭების გროვან
თან დასდევდა. ერთხელ ეველანი ერთათ დასეირნობდენ
ტეეში, ერთმა მათგანმა დაიფურია:

— შეხედეთ სკას! ეს ფუტკრის სკას!..

ეველა მივარდა გასაძინჯათ. სკა იყო ქაღალდისა და
მაღლა, ხის ტოტსე, იყო მიბძული. ეველა ათვალიერებდა.
ამ დროს ერთ ბავშვს ფუტკარმა ისე მწარეთ უკბინა, რომ
ის ევირილით გაიქცა, მას მიჭეუენ სხეუბიც. ეველანი დად-
გენ ცოტა მოძორებით და მოჭეუენ სკასე ლაპარაკს. თომამ
თქვა, რომ რაც უნდა გავკვირდეს სკა მაინც უნდა ჩამოვიღოთ
და ახლოს დავათვალიეროთო. არავინ არ დაეთანხმა და ეველანი
წავიდ-წამოვიდენ სახლში. თომამ დააპირა მარტო მისუელი-
ყო. ძაღე მიავნო კიდევ ხეს, მაგრამ ამასაც ფუტკარმა ისე
ძალიან უკბინა, რომ სიმწარით თომა თითს იკუნეტდა.

როცა ნაბუნმა ცოტა არ იყოს გაუარა, თომა ხელ-
მეორეთ მიუხსლოვად ხეს და თუძცა ფუტკრები მივარდენ
ეოველ მსრიდან, ხელები და ზირისახეც სულ დაუკბინეს,
მაგრამ ემსწვილი მამაცათ აცოცდა ხესე და ჩამოაგდო იქი-
დან სკა.

ახლა თომა როგორ მოჭკიდებდა ხელს სკას, რომ შინ
წაელო? ქუდი არ გამოდგებოდა, სულ დასვრეტილი იყო და
სხვა რა ექნებოდა! მაგრამ თომას ბევრი ფიქრი არ დასჭირ-



საქართველოს
საქართველოს

და, გაიმრო ზერანგი, განხვია შიგ სკა და მხიარულათ გასწია სახლში. ამ ფუტკრის სკის ძებნაში კარგა დაღამებულიყო! მამა უსათუოთ სახლში დაუხვდებოდა. მივიდა სახლში თუ არა, თომამ ჩუმათ კიბის ქვეშ შედო სკა და თითონ ნელნელა შევიდა ოთახში.

— კარგა მოგიგვიანდა სახლში დაბრუნება, ბიჭო! გაჯაფრებით უთხრა მამამ.

თომამ მოინდომა საჩქაროთ, ჩუმათ, საბან ქვეშ შემპვრალიყო, რომ არ შეემჩნიათ მისი სიშიშველე, მაგრამ მამამ მოჰჭერს თვალი, რომ თომა უზერანგოთ არის და დაუუვირბ:

— ეს რა ეშმაკობა დაგიწუვია კიდევ? სად არის შენი ზერანგი.

— არ ვიცი, უზასუხა დაბნეულათ ემაწვილმა.

— არ იცი? მამ არ იცი სად არი შენი ზერანგი? დედაკაცო, მოძეცი მთრახნი!.. მაგრამ თომას ცემა აღარ დასჭირდა, მან გულწრფელათ უამბო ფუტკრის სკის ამბავი.

— არა გცხვენინან რომ მაგდენს დაეთრევი ტყეებში და ტანიდან ზერანგს იძრობ, რომ რაღაც სამაგელი სკა განხვია?

— მამილო, ეს სკა სამაგელი არ არის, სხვანაირია, ქაღალდისაა!

— ძეგე ვინ ეთხრა რომ ქაღალდისაა? ქაღალდის სკა ვის გაუგონია.

დედამ შემოიტანა შესვეული, მღუღარეში ჩაეშვა და ისე

გასსნა ჰერანგი და რა ნახა! ეს სკა-კი არ იყო, კრახანს ბუდე იყო!

ბოლოს თომამ ისე მოაბეზრა დედ-მამას თავი თავის ცუდეობით, რომ მათ გადაწვეიტეს ოთხი წლის ჰაწაწა ბავში მიეცათ სკოლაში. ის მიანარეს ერთ ჰატარა ქალები სკოლაში, რომელიც ჰქონდა ერთ მათ ნაცნობ ბებერ დედაკაცს. თომას ეჯავრებოდა ეს ბებერი დედაკაციც, მისი ვიწრო და ჰატარა ჩარდასიც, სადაც სკოლა იმყოფებოდა. ან რას ისწავლიდა სკოლაში, როდესაც თითონ ბებერმა არ იცოდა. მაგრამ ეძაწვილმა ამ დროს ბებერი ახალი რამ შეიძინა, გზახე სიარულით ბებერი რამე შეიტყო. სკოლაში რომ მიდიოდა გაივლიდა ხოლმე ბახარხე, სადაც თევსებს ჰქვიდნენ და არც ერთი თევზი არ რჩებოდა მას უეურადღებოთ, რომ არ გამოეკითხა გამყიდველი დედაკაცისთვის, თუ რა ჰქვიან ამა და ამ თევზს, სად იჭერენ, რასა სჭამს, რითი განსწავლებს სხვა თევსებისაგან. არ დარჩა არც ერთი თევსების გამყიდველი დედაკაცი, რომ თომას არ გაეცნო, ეძაწვილის გამოკითხვები ართობდა კიდეც იმათ. ამ ბახარში ბლომით იყვენ თაგვები და სხვა-და-სხვა ჭიები. თომას ძლიან უეჯარდა თაგვები. მან დაიჭირა ერთი წვეილი, რომლებსაც ატარებდა ჯიბეებით და ისე შეჩვეული ჰქავდა, როდესაც სადმე წავიდოდა ფენ-და-ფენ დასდედნენ, როგორც ძაღლები. თომას თაგვების გარდა სხვა ცხოველებიც ჰქავდა შეჩვეული. სხვათა შორის მას ჰქავდა შეჩვეული ჭილ-



საქართველოს
საქართველოს

ეგვი, მკრამ ამ ჭილევაჲს თავისი წსავილით ისე მიაბნე-
რა თავი თომას დედას, რომ, როდესაც ეძიწვილს და ავით
გაუხდა — თომას გამოუცხადეს ფრინველი წაეგვანა სადმე. თო-
მას ჭილევაჲი უნდა მოემორებინა სასლიდან, მკრამ სად უნ-
და წაეგვანა არ იცოდან! ფიქრით თავი არ შეიწუნა, აიღო
და მალვარში ჩაისვა და ისე წავიდა სკოლაში.

ლოცვის დროს ჭილევაჲს თავი გამოეცო და დაიწყო
სამინლათ წსავილი, უნდოდა თავი დაეღწია — განთავისუფ-
ლებულიყო. სკოლის ბებერს ძალიან შეეშინდა და მამინჯე
თომაც და იმის ჭილევაჲიც გამოაგდო სკოლიდან და ის
იყო და ის — აღარ შეუძა ბავში. ბეური გაუჯავრდენ და
დატუქსეს დედ-მამამ და ბოლოს მიაბარეს სხვა სკოლაში უფ-
რო ბოროტ მოსუცებულ მასწავლებელს, რომელიც ხელიდან
არ იმორებდა წკვლას და უბრდლო რასმესე სასტიკათ
სცემდა შევირდებს. თომას ისე არ იტყვოდა რომ მასწავ-
ლებელს ეკმა. კარვა ამხადებდა გაკვეთილებს და თუძვა
სკოლასთან ახლოს იყო მისი სავარელი ზღვისხორი — გა-
კვეთილსე არ იგვიანებდა და არც თან მოეგვად ცხოვე-
ლები. მკრამ ერთხელ ისე გაერთო წურბელების დაჭერ-
ში, რომ უცბათ მოენმა ამხანაგის ევირილი: თომას, დახ-
ქარდი, მასწავლებელი ახლავე შემოვა კლასშიო! თომას მამინ-
ჯე გამოიქცა, მკრამ დანახდა დაჭერილი წურბელების მი-
ტოვება და თან წამოიღო. ბოთლის მირი წურბელებით, მიღ-
ვა ოთახის კუთხეში და დაიწყო გაკვეთილის მახმენა. მკ-

საქართველოს
საბჭოთაო

რამ დახეთ უბედურებს! წურბელები ამოვიდნენ ბოთლის ძირიდან და გაიფანტნენ იატაკზე, ერთმა კიდევც უკბინა ამხანაგს. ატყდა სმაურობა, უვირილი, მასწავლებელი განრისნდა, უბრძანა თომას საჩქაროთ წაეღო სკოლიდან ეს სმაკლები და ერთი—ორჯელ ისე დაჭკნა ეძაწვილს ბეჭებზე წიკვლა, რომ უბედურს ეგონა აღარ გადგურნებოდა. და ამ დღიდან თომა ამ სკოლიდანაც დაითხოვეს...

სასკოლო არც ახლან დაადგა კაი დღე, დატუქსეს და მე-სამე სკოლაში მიახარეს. ამ სკოლის მასწავლებელიც სასტოგი იყო. თომამ კადანწვივითა უნდა ვისწავლო და თავის თავს სიტყვა მისცა, სკოლაში არ მიეტანა არაოდეს არც ერთი ცხოველი.

თომა დიდხანს ასრულებდა თავის სიტყვას, მაგრამ ერთხელ სკოლაში რომ მიდიოდა დაინახა წელის ძილში ბედურას ბუდე. ძილთან იდგა კიბე, ეძაწვილმა ვეღარ შეიკავა თავი, რომ ბუდისათვის ხელი არ ესლო. აცოცდა კიბეზე, ჩამოიღო ბუდე და მის სინარულს სასლვარი არ ჰქონდა, როდესაც მიკნახა რამდენიმე შებუმბლეული ბარტყი. რა ექნა, სად შეენახა ბუდე? წაიღო სკოლაში და შედო სტოლ ქვეშ.

უცბათ კლასში მოისმა:

«წიაუ! წიაუ! წიაუ! და ბედურას ბარტყები ამოფრინდენ ბუდიდან.

მასწავლებელი მიუბრუნდა თომას:

— ეს შენ მოასხი აქ, შე სამაგელო?

— მე... მამ რა შექნა, გზასე ვიზოვე.

მასწავლებელმა ანატია, რადგან ეძაწვილმა მართალი თქვა, არ დაძალა და არც ამის მეტათ შეეძინა ცუდი საქციელი და კვლავ აუკრძალა.

მას შემდეგ თომას აღარ მიჰქონდა-რა სკოლაში და უსათუოთ ღვთის მადლით სწავლასაც დაასრულებდა, რომ ერთხელ არ მომხდარიყო ერთი შემთხვევა.

ერთხელ მასწავლებელი გაკვეთილს რომ უხსნიდა ეძაწვილებს, საშინლათ დაივირონ, სელსე რადამაც უკბინა, სანქაროთ ეს რადაცა გადმოისროლა იატაკსე და განრისნდა.

— შე, სამაგელო, მიჰევე სელი შენ ძველებურ ეძაწვილებს! მივარდა ის მამინვე თომას, — აქ მოეთრიე! შენ მოიტანე ეს სისამაგლე, რომელმაც ისე ძალიან მიკბინა? აი-დო იატაკიდან მკვდარი ყურბელა და უჩვენა თომას.

— არა, მე დიდხანია არა მომიტანია-რა. თამა მართალს ამბობდა.

— შენ კიდევ ტყუილებსაც ჩმხავ? მე გაგირიკებ შენ! მომეცი სელი! მომეცი მქორეც!..

დაუწყო მასწავლებელმა სელებსე თომას ცემა და თან უბრძანებდა გამოტედიო; იმდენი სცემა საბრალოს, რომ თითონაც საშინლათ დაიძალა, მაგრამ ჰაწაწა თამა ვერ გამოტენა; თუმცა გრძობდა საშინელ ტყვილს ის მანც თავის სიტყვასე იღვა, რომ ყურბელა მისი მოტანილი არ იყო.

მასწავლებელი დაისვენებდა სოლმე და მერე ისევ მოჰყვებოდა თომას ცემს, ბოლოს მოიქანცა და თომა-კი ვერ გამოტეხა.

მერე მასწავლებელმა დაუწყო შავირდებს გამოკითხვა თომას სომ არ მოუტანიაო, მაგრამ ამხანაგებს არავის ენახა, რომ ამ ბოლო დროს ემსწვილს სკოლაში რამე მოეტანოს.

იხან მანც თომა გააგდო სკოლიდან.

თომამ თითონ უამბო დედ-მამას ეველაფერი და ესვეწებოდა ნულარ გამკსავნი სკოლაში, მიმბარე სადმე ხელობასყო. მაგრამ დედ-მამა არ დათანხმდა, რადგან ემსწვილი მხოლოთ ექსი წლისა იყო; მამამ გამოუცხადა, ხვალ ისევ წავიყვან სკოლაში და ვთხოვ მასწავლებელს ისევ ავიყვანოსო.

როდესაც მეორე დღეს მამა დაბრუნდა სამუშაოდან განკებ ადრე, რომ თავისი განძრახვა აესრულებინა—თომა აღარსად იყო...

ის გაიქცა და აღარ აპირებდა სახლში დაბრუნებას. როდესაც ხეების საწუბში ის აკეთებდა კაკანათებს ამ დროს დაინახა თავის მამის აჩრდილი, რომელიც უსათუოთ მას ეძებდა—ემსწვილმა მოჰკურცხლა, თუმცა მამა შორიდან უბახოდა. — თომა ერთ წამს გაქრა.

ის მიიძალა ტყეებ ქვეშ და იქ დააპირა დამის გათევა. ღამე ცივი იყო, ქარს ბსუილი გაჰქონდა. თომა ფეხ-



შიშველს და დაგლეჯილ ჰერანგის ამარა იყო. საბრძოლო მოიკუნტა და უდილობდა დაემინა, რომ ნაღველი ცოტა ხანს მანც დავიწეებოდა, მაგრამ თავკეპმა, რომელთა რიცხვი აქ აუარებდა იყო, ატყეხეს ისეთი სმაურობა, რომ თოდამ ერთ წამსაც ვერ მოხუჭა თვალი. საშინელება იყო ამ კუნტულში ჯდომა, საბრძოლო ცახცახებდა. როგორ უნდოდა ახლა თავის თბილ ღოჯინში ჩაწოლდა! რა სანატრელი იყო ახლა ის ქვეშავები! რა სიამოვნებით გაიქცეოდა ახლა ის სასაღიში! ცუდით აქამდის ბეჭები უკვნივსოდა, ახლა კიდევ მამის მოღვტი რომ მოაგონდებოდა—შინ დაბრუნების სურვილი ძალა-უნებურათ ეკარგებოდა.

ვათენებისას უფრო აცვიდა. როდესაც კარვა ვათენდა თოდამ გამოტყო თავი ფიცრებოდან და იმ წამსვე მიიძალა; მამა დადიოდა საწყოებში და მას დაეძებდა.

როგორც რომ მამა წავიდა აქედან თომა გაიქცა კეთილ შესობულ ქალთან, კილმანთან, რომელიც არა ერთხელ გამოეხარნჯა მას. მართლაც კილმანის ცოდმა აღერსით მიიღო, მაშინვე წავიდა მის დედ-მამასთან და თხოვა ემწვიდეს ნუ სცემთო: აჭამეთ, ასვით და ჩააწვინეთ ქვეშავებში, თორემ ავით კვანდებათო. თოდამ რა ნახა არ მიჯავრდებიანო ტკბილათ დაიმინა. მაგრამ, როდესაც მეორე დღეს გაიღვიძა ისევ შვეწუნდა. მამა მოღუბული უჯდა საუხმეს და რა შეამჩნია, რომ თოდამ გაიღვიძა სასტიკათ უბრძანა—ახლავე ადექიო. თოდამ მწარეთ დაიწყო ტირილი და თან ამბობდა:

ქართული
ბიბლიოთეკა

— მე არ წავალ სკოლაში, არაფერი არ დამიძაგებია და მასწავლებელმა-კი მტყმა... იმას უნდოდა რომ ტყუილი მეტყვა ჩემ თავზე, მე-კი არ ვიტყვი ტყუილს... ბეჭები საშინლათ მტკიავ... არ შემიძლიან, არ წავალ სკოლაში!

დედა მიუხსლოვდა ეძაწვილს და რომ ნახა ძთლათ ზურგი დაღურჯებული და გასისხლიანებული შეშინდა. ბეჭებს მიჰკროდა სისხლიანი ჰერანგი და სცადა თუ არა დედამ მის გასდა. თომას გული შეუწუნდა.

ეძაწვილი მოვიდა გონზე მაშინ, როდესაც ცხვირში რაღაც წამლის სუნი ეცა. კილძანის ცოლი რაღაცას ასუნებინებდა. ჰერანგი გაეხადნათ კიდეც და ზურგზე მღაბმო წაესვათ.

ამ ამბავს შემდეგ თომას აღარას ეუბნებოდენ სკოლაში წასვლაზე.

(შემდეგი იქნება)



და ფიქრობს გახარებული:
 ,,ეს არის, რასაც ვეძებდი!
 მუდამ მიმაღავს დედაო
 და მიშლის ამის ჭამასა,
 რომ მატყუილებს ვხედავო!“
 ჩაკბიჩა... პირი ეწეებ,
 ვით მწვადი ნაკვერჩხალებდა,
 აფურთხებს, მარა წიწკა
 მაზე მოქმედობს ძალებდა.
 ,,ვაიმე, დედავ, მიშველე!“
 ღრიალებს გამწარებული;
 ისევ მაწონი მონახა,
 თვისგანვე დაწუნებული..

მ. ლელაშვილი.




მონარხეული მელა.



აღიან მძიერია ჩვენი მელა. დღევანდელმა ნადირობამ ტუეილათ ჩაუარა. აგერ შუადღემ მოაწია და ჯერ ჰირში არაფერი ჩაუდევს. ახლა-კი ახალი რამ სერსი უნდა მოიგონოს. აი მდინარის ჰირათ მეთევზის ქონი დგას, და ქონის გარშემო თევზის თავეები ჰერია. მიცუნცულდა ქონთან და ნელა-ნელა გადაწიდა თევზის თავეები სის ფუღუროში; აქ წუობ-წუობათ დააღაგა და თითონაც იქვე მიიძაღა.

დიდი ხანი არ გასულა, რომ იქ ევავე მოფრინდა, უნდოდა ერთ-ერთი თავე მოეტაცუნა. მელიაც ამას მოელოდა; გამოსტა ფუღუროდან, სტაცა ევავენ ჰირი და შეასრამუნა.

კახ. იმერელი.



ლედი ჯენ.

(ჯემისონის მოთხრობა)

XIII

ლედი ჯენი მუსიკის მასწავლებელს შოულობს.



ღიანასას პირველათ ყოფნის დროს ლედი ჯენი ისე გაიტაცა იაღონებმა და ჭუკებმა, რომ მას არაერთარი ყურადღება არ მიუქცევია ფორტეპიანოსთვის, რომელიც მეორე ოთახში იდგა; მეორეთ მისეღაზე-კი მან ყურადღებით დაათვალიერა ფორტეპიანოც.

— ეს ფორტეპიანოა? — ჰკითხა მან ღიანას.

— ჰო, ფორტეპიანოა! მიუგო ღიანამ, რომელიც ამ

დროს გატაცებული იყო მართულიდან და ლუქიდან ტონისთანა წერილი ფეხების კეთებით. — გინახავს როდისმე სხვაგან?

— როგორ არა! სახლში კიდევ ეუკრავდი ხოლმე ზედ. დედა მასწავლიდა. მაგრამ ჩენი ფორტეპიანო ბევრათ უფრო დიდი იყო და მას როიალი ერქვა.

ღიანამ და დედა მისმა ერთმანეთს გადახედეს.



— სად ცხოვრობდით უწინ, ჩემო პატარა? — ჰკითხა დიანამ.

— პრერიებში.

— რა ადგილას? სად იყო ის პრერიები?

— არ ვიცი! — დაღონებით მიუგო ბავშმა. — ვიცი მხოლოდ, რომ შორს, ძალიან შორსაა აქედან ის ადგილი. იქ სულ მინდვრები და ველებია. სულ მარტო მინდვრები და ველები... და ბერი, ბერი ცხენები, ცხვრები... მე პატარა ლამაზი ბატყნები მყავდა. ჩემ პატარა ცხენს ნარგიზა ერქვა.

— მაშ. ის ქალი, რომელთანაც თქვენ ახლა დგახართ, თქვენი დედა არ არის?

— არა, ის მარტო „დედა პოლინა“ა. დედა სხვაგან წავიდა და მერე დაბრუნდება... მგონია, საახალწლოთ... — და ბავშვის ნაზი, ლამაზი სახე მთლათ აინთო სიხარულისაგან.

— გიყვარსთ მუსიკა? — ჰკითხა დიანამ, რომელმაც იგრძნო, უკეთესი იქნება, ლაპარაკის საგანი რომ შეეცვალოთ.

— ძალიან! ნუ თუ არც ერთხელ არ გაგიგონიათ, როგორ ვმღეროდი ხოლმე მეც თქვენთან ერთათ? — ეშმაკური ღიმილით მიაჩერდა დიანას პატარა ლედი ჯენი. — მე განგებ ძალიან ხმა ძალიან ვმღეროდი, რომ თქვენ გაგეგონათ და დაგეძახნათ ჩემთვის.

— ჩემო მშვენიერო პატარა! — სიყვარულით დაუსვა დიანამ ხელი ბავშვის ხუჭუჭა, ოქროსფერ თმას, მერე დედას მიუბრუნდა და ფრანგულათ უთხრა: — აი, დედა, თქვენ ისე გეშინოდათ ამ ბავშვის ჩვენ სახლში შემოყვანის, გეგონათ, რომ ყველაფერს აგვირევედა-გვირევედა, მუშაობას შემიშლიდა. . . ამას-კი მხიარულობის მეტი არა ფერი შემოაქვს ჩვენ სახლში! ისეთი მინდა, რომ მუსიკის სწავლება დაეწყებინო... რასაკვირველია, თუ დრო მექნება!

— დედი ჯენი ყურადღებით უყურებდა ხან დედას და ხან შვილს.

— მე ფრანგულს ვსწავლობ! — უცებ თქვა მან. — ჰეპსი მასწავლის; ბერი სიტყვები კიდევ ვიცი... ისე რომ მალე შეგეძლებათ სულ ფრანგულათ მელაპარაკოთ.

დიანამ გაიცინა.

— მაშ გვიყვით, რომ შენთვის მუსიკის სწავლება მინდა?

— ნუ თუ მართლა, მართლა მასწავლით ფორტეპიანოზე დაკერას? — აღტაცებით წამოიძახა ბავშვმა.

— დაკერასაც და მღერასაც, ყველაფერს.

— თუ გინდათ, ახლავე გიმღერებთ რასმე, ა? — ჰკითხა ჯენმა, რომელსაც მთლათ აწითლებოდა ლოყები, და დიდი, ლურჯი თვალები აღტაცებით უელფარებდნენ.

— კარგი, აბა დაიწყე. მე კი მანამდის ამ ცალ-ფებს გავათავებ... მერე მეც გიმღერებ.

— გიმღეროთ, „ნანა შეილო, ნანინა“?

— რაც გინდა, სულ ერთია.

ლედი ჯენმა ასწია თავი ზევით, გადიგლო მხრებზე გრძელი, ოქროსფერი თმა, მიაპყრო ერთ წერტილს თავისი დიდი, ლურჯი, ბრწყინვალე თვალები და დაიწყო სიმღერა, რომელიც ხშირათ გაეგონა ხოლმე თავისი დედისაგან; ნაზმა, პოეტურმა მგლოდიამ, რომელიც გამოჰყავდა ბავშვის მშვენიერ, წკრიალა ხმას, მაშინვე დაიმონა დიანაც და მისი დედაც; ორივეს დააეწყდათ ყველაფერი, რაც კი მათ გარშემო იყო და ორივე გატაცებით, აღტაცებით უსმენდნენ ბავშვს.

— ღმერთო ჩემო, ნამდელი ანგლოზის ხმა გაქვს, ჩემო პატარა! — წამოიძახა დიანამ, როგორც კი ჯენმა გაათავა და იქით-აქით მიიხედა-მოიხედა. — უსათუოთ, უსათუოთ უნდა დაიწყო სიმღერის სწავლა! ცოდვა არის, მაგისტანა ხმა რომ ტყუილათ დაიღუპოს.

— მე-კი მგონია, რომ ხმა მაშინ იღუპება, როცა სიმღერის სწავლას იწყებენ! — შეაწყვეტინა შეილს სიტყვა ოტრევის ქერიმმა. — არ გახსოვს, დიანა, რა ხმა გქონდა, როდესაც ერთხელ ერთ კერძო კონცერტში მღეროდი, შენი ბიძაშვილის, მარკიზ ოტრევის იქ ყოფნის დროს? მახსოვს, როგორ იძახოდა მაშინ მარკიზი, ჩემ სი-



საქართველოს
საქართველოს

ცოცხლეში არ გამიგონია ასეთი მშენიერი ხმაო! მერე-კი... დაიწყე სწავლა, გაკეთილები ალება... და ხმა დაგეკარგა!

— დედა! თქვენ გავიწყდებათ, რომ, როდესაც კონცერტში ვმღეროდი თექვსმეტი წლის ვიყავი, რასაკვირველია, მაშინ უფრო კარგი და სასიამოვნო ხმა მექნებოდა, ვიდრე ახლა მაქვს!

— არა, არა! ხმა შიტომ შეგეცვალა, რომ სწავლა დაიწყე! მას აქეთ ისე არაოდეს აღარ ვიმღერია!

— დედა, ვიმეორებ, რომ მაშინ ახალგაზდა ვიყავი! რასაკვირველია, ახლა იმ ხმას ვეღარ დავიბრუნებ, როგორც ვერ დავიბრუნებ ახალგაზდაბას!—და დიანამ თავი გვერდზე მიიბრუნა, რომ დედისთვის უნებლიე ცრემლები არ შეენიშნინებინა. ეს ცრემლები გამოიწვია უწინდელი ბედნიერი დროის მოგონებამ, იმ დროის, როდესაც მას გარს ეხვია ბრწყინვალე საზოგადოება, როდესაც ყველა მისი ხმით აღტაცებული იყო და ყველა ბედნიერ მომავალს უქაღიდა. სად გაჰქრენ ახლა ყველა ის ნაცნობები, ის ნათესალები? ოტრევის ქერივი და მისი ქალიშვილი თითქო დაიხოცენ მათ ოფალში, ისე დაივიწყა ყველამ.

— მე მგონია, დიანა, — ისევ დაიწყა ოტრევის ქერივმა, — რომ ჩვენ დიდი შეცდომა მოგვივიდა, როცა ჩვენი მისაღები დღეები გადავდევით... უწინ ყველამ იცოდა, რომ ამა და ამ დღეს ჩვენ სახლში ვართ და ყველა მოდიოდა ჩვენთან... ახლა-კი, რასაკვირველია, ყველამ დაგვივიწყა, რადგანაც არ იციან, რა დღეს ვღებულობთ სტუმრებს!

— ცოტა მოვითმინოთ, დედა!—წყნარათ მიუგო დიანამ. — თუ წრეულსაც ისე კარგათ გაიყიდა ჩემი იაღონები და ჭუკები — მაშინ იქნება ისევ შევიძლოთ სტუმრების მისაღები დღის დანიშვნა.

— ოჰ, რა კარგი იქნება!—გაბრწყინებული სახით წამოიძახა ქერივმა, მაგრამ მალე სახე ისევ დაუღონდა:—დიანა!—შეცვლილი კილოთი ისევ დაიწყა მან.—მერე როგორ მივიღებთ სტუმრებს, როცა არც შენ და არც მე აბრეშუმის კაბები აღარა გვაქვს?

— მართალია, ღედა, ეგ-კი სულ დამაეიწყდა! დღის დანიშნება შეუძლებელია!— ამ სიტყვებით დიანამ მწუხარეთ ჩაქინდრა ძირს თავი და ისევ ფრინველის გრძელი ფეხის კეთებას შეუდგა.

ამასობაში ღედი ჯენი ბაღში წაეიდა და სიამოვნებით დასეირნობდა იქ სუნნელოვან ვარდების ბუჩქებს შორის; ბალი სწორეთ რომ საუცხოვო სანახაეი იყო, ეტყობოდა, რომ მას მშვენიერათ უელიდენ. ყოველ დილას მას, ისე როგორც მთელ სახლს, ასუფთაეებდა და წმენდა თეით დიანა, რომელიც ყოველი საქმის მოლევას ასწრებდა ხოლომე თავისი ღედის გალიეძებამდის.

დიდხანს დასეირნობდა ღედი ჯენი მარტო ბაღში, დიანა გარეთ არ გამოდიოდა; ამ დროს მას ცხარე ლაპარაკი ჰქონდა თავის ღელსთან.

— ჩემო კარგო! ეუბნებოდა ღედა დიანას.— შენ რომ ბავშს სწაელება დაუწყო, დეიდა მისი მაშინეე შემოგეეჩრება სახლში. მართალია, ჩენ ძალიან ლარიბები ვართ, მაგრამ ყველას მაინც არ უნდა აეფუტოლოთ თავი, არ უნდა დაეეეწყოთ, რომ ჩენ ოტრეეის დიდებულ ვარს ეეკუთენით.

— ნო გეშინია, ღედა, ბავშის დეიდაც თუ ისე კარგათ არის აზრლი, როგორც თე თ ბავშ—ის თავს არაოდეს არ მოგეაწყენს... ჯენი-კი ისეთი მშვენიერი, ისეთი საყვარელი ბავშია, რომ მე მაგნაირი არც-კი მინახავს. ჩემ სიცოცხლეში.

— მართალია! მაგრამ ბავშები ყველა ენატრინები არიან. შენი ჯენი-კი ძალიან ჰკვიანი და დაკვირებული ბავშია. რასაკვირეელია, მას ჩენ სახლში არაფერი არ გამოეპარება და მაშინეე გააერცელებს ხმას, რომ შენ გასაყიდათ აკეთებ იაღონებს და კეატის ჰუეებს.

— კარგი, ღედა, თუ აგრე არ გინდათ— მე ძალას არ დაგატანთ, მაგრამ ეიმეორებ, მე ძალიან, ძალიან მესიამოვნებოდა მაგ მშვენიერი ბავშის სწაელება. მისი საოცნებო, წკრიალა ხმა კიდეც გაახალისებდა ცოტათი მაინც ჩენ ერთფეროვან, მოწყენილ ცხოვრებას!



ქართული
საბჭოთაო

— ეჰ! შენ ყოველთვის შენსას გაიტან, დიანა!— ამოიოხრა მოხუცმა დედამ.— ახლანდელი ახალგაზდობა პატიეს არა სცემს მოხუცებს...

— დედა, დედა!— წყნარათ შეაჩერა ქალმა.— მე ახლავე უარს ვიტყვოდი ჩემ განზრახვაზე, მაგრამ ეხედავ, რომ პატარა ჯენი თქვენც მოგწონსთ, თქვენც გასიამოვნებსთ ხოლმე მისი აქ ყოფნა... მერე ჩემი ყანჩაც რა მშვენიერი გამოდის! ნუ თუ გინდათ, რომ მისი გათავებაც ვერ მოვახერხო?

— არა, არა, ჩემო კარგო! თუ გვირდება ყანჩა— რასაკვირველია, მე მისი წინააღმდეგი არ ვაგინდები, რომ ბავშვა ჩვენსას იაროს და ყანჩა მოიყვანოს ხოლმე. ვაკეთილებიც აძლიე, მაგრამ იცოდე, თუ შენიშნო, რომ გვიკირს სწავლება— მაშინვე თავი დაანებე!

გააგონა თუ არა ეს სიტყვები— დიანა მაშინვე ბალისკერ გაეშურა და გამოუტხადა ლედი ჯენს, თუ დედა თქვენი წინააღმდეგი არ იქნება— ყოველ შაბათობით იარეთ ჩემთან პირველი საათიდან სამამდის სიმღერის და დაკერის სასწავლებლათო.

— ვაკეთილებს როცა გავათავებთ— მაშინ-კი ბალში ისეირნეთ ხოლმე!— დაათვა დიანამ.

ლედი ჯენი აღტაცებით გაჰქანდა მაშინვე პეპსისთან ამ სასიამოვნო ამბავის მისახარებლათ, მაგრამ ვაკვირებისაგან არ იცოდა რა ექნა, როცა დაინახა, რომ გახარების მაგიერათ პეპსი ნუშის ქერქით და კაკლის ხეჭუჭით საესე სტოლს დაეყრდნო და მწარეთ ქვითინი დაიწყო.

— პეპსი, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო პეპსი, რა დაგემართათ?— შეშინებით შესძახა პატარა ჯენმა.— მითხარით, მითხარით, რა დაგემართათ?— და პეპსისთან ერთათ იმანაც ტირილს მიჰყო ხელი.

— მე... მე... ვიცო, რომ ეს კარგი არ არის, მაგრამ მე არ მინდა, რომ შენ იმ არისტოკრატებთან დადიოდე... ისინი ამაყები არიან, შენც უკადრისობას შეგაჩევეენ... რამდენი ხანია აქ ვდგავარ...

ერთხელაც არ გაუღლიათ იმათ ჩვენ ქუჩაზე, ისე ვეზიზღებით—ყველა... და ახლა იმგენმა შენი სიყვარული უნდა წამართვან! — და პეპსი ისევე ატირდა.

— რას ლაპარაკობთ, პეპსი! — შეაწყვეტინა სიტყვა ჯენმა. — მე თქვენ ბევრათ, ბევრათ უფრო მიყვარხართ, ვიდრე ქალბატონი დიანა! მაგრამ... ისე მინდა მუსიკის და მღერის სწავლა! პეპსი, ჩემო საყვარელო, ჩემო კარგო პეპსი, მომეცით ნება, რომ ვასწავლო! მე ვეცდები, რომ კარგათ დაეუკრა, მაგრამ თქვენ მაინც ყველაზე, ყველაზე უფრო მიყვარებით!

— მე არ მინდა, რომ სხვა გიყვარდეს ჩემზე უფრო! არ მინდა, რომ სხვას ჩემზე უფრო დაუახლოვდე! — იმეორებდა თავისას პეპსი და სულ უფრო და უფრო მწარეთ ქვითინებდა.

— პეპსი, რატომ მიწყურებით აკრე, რატომ ტირით? — მე არ ვისწავლი მუსიკას, არა! — თითონაც ტირილით ეხვეწებოდა შეწყუბებული ბავში პეპსის და ორივე ხელს სიყვარულით ხვევდა კისერზე. — ნუ ტირით, ნუ ტირით, პეპსი! გინდათ ჩემ ცისფერ ყანჩას გაჩუქებთ?

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ისე იმოქმედეს პეპსიზე, რომ ის მაშინვე დაშვიდდა. — ჩემო პატარა ანგელოზო! — აღლაცებით წამოიძახა მან და მხურვალეთ დაუკოცნა თავის პატარა მიგობარს აღელვებული და ნამტირალევი სახე. — რა კარგი, რა კეთილი ხარ! მე-კი ავი, უგულო ვარ, მარტო ჩემ თავზე ვფიქრობ, სხვაზე არაფერზე! ქალბატონ დიანას უნდა ვასწავლო, სარგებლობა მოგიტანოს; მე კი ამისი წინააღმდეგი ვხდები! ღირსი არა ვარ შენი სიყვარულის. ღირსი!

ამ დროს ოთახში ქარიშხალივით შემოვარდა თავუნა. პეპსი რომ ნამტირალევი დაინახა, ის საშინლათ მოიღუშა და მაშინვე მივარდა ჯენს.

— მი ლელი! რა უქენით მის პიპს? — სასტიკათ ჰკითხა მან. — რატომ ავტირებიათ? რასა ჰვაცს ეს?

— სსუ, თავუნა! — შეაწყვეტინა სიტყვა პეპსიმ. — მის ლედი-კი არა, თითონ მე ვარ ყველაფერში დამნაშავე! მე მეგონა, მას ქალბატონი დიანა ჩემზე უფრო შეუყვარდებოდა და არ მინდოდა, რომ მასთან მუსიკა ესწავლა.

ლედი ჯენმაც დაიწყო, თავისი მხრით, თავის-მართლება.

— მე არაფერი არ მიწყენინებია პეპსისთვის, თავუნა! — წყნარათ დაიწყო მან. — პეპსი იმიტომ ტიროდა, რომ ეგონა, ლედი ჯენს აღარ ვუყვარვარო. ქალბატონი დიანა და მისი დედა დიდებული არისტოკრატები არიან, და პეპსის ეგონა, მათთან სიარულს თუ დაეიწყებდი — მეც გავამაყდებოდი. აი, ამიტომ ტიროდა.

— ქალბატონი დიანა — დიდებული არისტოკრატკა! — დაცინვით წამოიძახა თავუნამ. — ბევრი გენახავს მაგისთანა არისტოკრატკები! ყოველ დილას შეიხვევს სახეს სქელი შავი პარბადით, გამოდის ქუჩაზე და თითონ წმენდს, თავის ხელით, სკამეკას ლობის წინ! კაი შეილი არისტოკრატკაა, სწორეთ!

— თუ თავისი ხელით წმენდს სკამეკას — ლარობი ყოფილა! თუ ლარობია — მაშ ამაყი არ იქნება! — გადაწყვიტა პეპსიმ. — შენ-კი, თავუნა, ნამეტან ბევრს ლაპარაკობ იმათზე! რა იცი, თითონ ქალბატონი დიანა წმენდს ხოლმე სკამეკას, თუ მისი მოსამსახურე ქალი? ხომ შენ თითონ ამბობ, იმ ქალს სქელი პარბადე აქვსო სახეზე ჩამოფარებული?

მაგრამ თავუნას ვერაფერი ქვეყანაზე ვერ დააჯერებდა, რომ ის სწორეთ ოტრევის ამაყ ქალს არ ხედავდა ხოლმე ასეთ დამამცირებელ საქმეში გართულს. ბოლოს პეპსიმ დაითხოვა ოთახიდან თავუნა და ეს უკანასკნელი გაჰქრა კარებს უკან, დამშვიდებული და გახარებული იმით, რომ ლედი ჯენი მის პატარა ქალბატონის გვერდით იდგა და სიყვარულით ხევედა მას კისერზე ორივე ხელს. გვიდა თუ არა თავუნა, ორმა მეგობარმა მაშინვე ცხარე ბაასი გააბეს.

— იცი, ჯენ, რა მოვიგონე! — დაიწყო პეპსიმ. — დედას ცოტადენი ფული აქვს... ჩემთვის, რასაკვირველია. რასაც მოვიინდომებ —

ის ყოველთვის მისრულებს ხოლმე. წერა-კითხვის სწავლა როცა მოეინდომე—მაშინვე მიშოვა მასწავლებელი... აი, ახლაც, თუ ფორტეპიანო მოეინდომე—მაშინვე მიყიდის...

— და მე ზედ დეჟურავ, არა! — აღტაცებით შესძახა ლედი ჯენმა.

— რასაკვირველია! თუ გაკვეთილების აღებას დაიწყებ — შენითაც უნდა უკრა ხოლმე ყოველ დღე. ჩემი დეიდაშვილი, მარი, დღეში სამ-სამ საათს უკრავდა უწინ... შენც ისე უნდა ჰქნა. დიდი რომ გაიზდები — საქალაქო ტაძარში დაგბატყებენ სამღერლათ და ბეერ, ბეერ ფულს მოგცემენ. მაშინ შენ იყიდი მშვენიერ თეთრი აბრეშუმის კაბას, წინ ფართე და ლამაზი არშიებით მორთულს, და თეატრში კონცერტს გამართავ. დამსწრე ხალხი თავზე სულ ყვავი-





ქართული
ლიტერატურის
ისტორიის
მუზეუმი

ლებს გადაგაყრის, მოგართმევენ ძვირფას საჩუქრებს: ბეჭდებს, სამაჯურებს, ბრილიანტის ყელსაბამს და ბევრ სხვას... შენ მაშინ ხელ მწიფის ასულს ემგვანები!

— ტახტზე დამაჯენენ და თავზე გვირგვინს დამადგამენ, არა? — გატაცებით დაიწყო ოცნება ჯენმაც.

— ჰო, ჰო! — დეთანხმა პეპსი. — ქუჩებზე ხალხი სულ მიწაზე განართხება ხოლმე, როცა შენ გაიელი ან გამოიელი... და შენ ფეხით-კი აღარ იელი, სულ ეტლით ისეირნებ... ეტლი ცისფერი გეძნება, შიგ იქნება შებმული რეა მშვენიერი, თეთრი ცხენი...

— და ჩემ გვერდში თქვენ იჯდომებით! — შეაწყვეტინა ჯენმა. — და იმ დიდ ცისფერ ეტლში ჯდომა ისე სასიამოვნო იქნება, როგორც დეიდა მოდის პატარა, წითელ ეტლში?

— ოო, ბევრათ უფრო სასიამოვნო! — მიუგო პეპსიმ. — ქალაქს გარეთ შენ გეძნება დიდი, დიდი, საუცხოვოთ მოართული და მოწყობილი სახლი... სახლს გარეშემო სულ ბაღები, მანდრები, ველები, ყვავილები და ხეხილები იქნება... შუაში-კი დიდი, მშვენიერი შადრევანი იჩუხჩუხებს...

— და თქვენ და დეიდა მადლონი ჩემთან ერთათ იცხოვრებთ იმ სახლში!

ამ დროს ბავშვის მხიარულ, აღტაცებულ სახეს რაღაც ნაღველის ღრუბელმა გადაურბინა, მის დიდ, ლურჯ თვალეებზე ორმა ცრემლმა იელვა.

— პეპსი, იცი, რა გითხრათ! — უცებ აკანკალებული ხმით მიმართა მან თავის მეგობარს. — იქნება მაშინ ღმერთმა დამიბრუნოს მამა და დედა! მაშინ ყველა ერთათ ეიცხოვრებთ!

— ეინ იცის! იქნება! — შეკრთომით უპასუხა პეპსიმაც. — ეილოცოთ, ეთხოვოთ ღმერთს — და იქნება მან შეგვისრულოს ჩენი თხოვნა.

— გახსოვს, პეპსი, თქვენ მეუბნებოდით, დედაშენი საშობოთ მოვაო! აი, მოახლოვდა შობაც... ნეტავი-კი მართლა მოვიდოდეს!

პეპსი, აბა ქალაღდი ვაშაღეთ, ჩაუღთქვათ, მართლა მოვა ღეღა თუ არა?

— კარგი! ჩაუღთქვათ! — მწუხარე ღიმიღიღთ დაეთანხმა პეპსი. — მაგრამ... ქალაღღში ხშირათ ტუღიღი გაღიღღის ხოღმე!

ქოზენი სიამოენეღიღთ დათანხმაღა ჯენისთეღის ღიანასაგან მუსიკის გაკვეთიღეღბის აღეღბის ნეღა მიეცა. მისთეღის სატრაბახოც იყო, რომ ღიღეღუღი ოტრეეღის ქალი მის ღიწუღულს მოსწუღელეღთ იყუანღა. ეკუღი არ იყო, აღრე თუ გეღან მასაც მიიპატიეღებღენ ამ ამაუღი არისტოკრატიეღბის სახღღში და ამიღთ მას ყუეღლა მეზობღეღბის და ნაცნობეღბის თეღალში ფასი მოემატიეღბოღა. მაგრამ ძალიან შემეცღარი იყო ქოზენი, რომ ოტრეეღეღბის დაახლოეღეღბის იმეღი ჰქონღა!

XIV

ლედი ჯენი სეპეღის მასწავღეღბეღლსაღ მოუღლოღს.

ღეღი ჯენის ბეღი ისე არაეღის ახარეღბღა, როგორც მოხუც ქეღრარს.

— აგრე, აგრე, ჩემო პატარა ლეღი! — ხეღეღბის ფშენეღიღთ აღტაცეღბიღთ იმეორეღბღა ხოღმე ის. — სწორეღთ რომ ბეღი გქონიათ! ხუმრობა საქმეკი არ არის, იღისთანა მშუენიერი მასწავღეღბეღლის შოენა, როგორც ქალბატონი ღიანა არის! ის საუცხოეღთ შეამუშაეღბს თქვენ ხმას და სიღღერასაც საოცნეღბოს გასწავღღისთ! ყუეღლას ჰგონიღა, რომ მე არაფერი მესმის მუსიკის... არაეღინ, არაეღინ არ იცის, ეინ ან რა იყო ქეღრარი თაეღის ახალგაზღღობაში! ისეღი ჰანგი არ არსეღბობს ქეეყანაზე, რომეღიღც ქეღრარს არ გაეგონოს თაეღის სიციცხღღეღში! ბეერი, ბეერი რამ მიანახეს და გამეგონიღა მაშინ, როღღესაც თეატრში ემსახურობღი!

— მაშ თქვენ თეატრში მსახურობღიღთ? — სინარუღღისაგან გაბრწყინეღბუღი თეაღეღბიღთ, აღტაცეღბიღთ შეაწყუეღტიღა პატარა ჯენმა. —



პეპსი ამბობს, რომ ერთ დროს მეც გავმართავ თეატრში კონსერტს, ყვავილებს გადამაყრინ თაფზე.. ტახტზე დამაჯენენ.. თეთრი აბრე-შუმის კაბა მეცმება... თეთრ ცხენებ შებმული ცისფერი ეტლი მექნება...

— ძალიან შესაძლებელია!—ლიმილით მიუვოა ჟერარმა და სიამაყით გადახედა თავის პატარა მეგობარს. —თქვენ ისეთი ხმა გაქვს, რომ ქეასაც-კი აგრძნობინებს რასმე!

— ოო, ბატონო ჟერარ, მერე თქვენ რა იცით, როგორი ხმა მაქვს? თქვენ ხომ ერთხელაც არ გავიგონიათ ჩემი სიმღერა?—გაკვირვებით შეეკითხა ბავში.—მე მხოლოდ პეპსისთან და ქალბატონ დიანასთან ვმღერი ხოლმე!

— უკაცრავათ, მეც გავიგონე, ერთხელ მეც გავიგონე თქვენი სიმღერა!—ეშმაკური ლიმილით მიუვოა მოხუცმა.—ეს ერთ დღიას იყო. ქალბატონი დიანა თავის ოთახში მღეროდა, თქვენ-კი ქუჩაზე აყოლებდით ხმას იმის ხმას. თქვენ ნამდვილ პატარა ჩიტუნიასავით ჭიკჭიკობდით.. და ვერც-კი ამჩნევდით, რომ მე ყურს გიგდებდით.

— მართლა, ბატონო ჟერარ?—მზიარულათ გაიცინა ჯენმა.—ძალიან მიხარია, რომ თქვენც გავიგონიათ ჩემი სიმღერა. თუ გინდათ, როდისმე „ნანა, შეილო, ნანინა“-ს ვიმღერებთ.

— ძალიან, ძალიან მინდა!—სწრაფათ მიუვოა მოხუცმა.—მუსიკა საშინლათ მიყვარს.. და იმდენი ხანია მას აქეთ, რაც უკანასკნელათ გავიგონე კარგი, ნამდვილი მუსიკა!—ამოხვრით დაუმტა მან.—ოჰ, სხვა, სულ სხვა იყო ჩემთვის უწინდელი დრო! მეც სულ სხვა ადამიანი ვიყავი! ახლა არც-კი დამიჯერებთ, ჩემო პატარა ლედი, რომ აგიწეროთ, როგორი ვიყავი მაშინ შესახედავათ!

— მაშინ ყურებზე ვგ წითელი ცხვირსახოცი არ გეხვიათ ხოლმე? ცნობის მოყვარეობით ჰკითხა ჯენმა.

— არა, არა, რა წარმოსადგენია!

— არც წინსაფარი გეკრათ? წინდებს არ არუფაევდით ხოლმე?

— წინსაფარი?—გაღიხარხარა მოხუცმა.—წინსაფარი მეკრა კი

არა, ისე ვიცვამდი, როგორც პირველი დიდებული კაცი! — თვის შაგი ფრაკი მეცვა ხოლმე, ჩემ ქუღას სულ ლაპლაპი ვაქონდა! შესახებდათაც ძალიან ლამაზი ვიყავი, მთლათ დახუჭუჭებული თმა მქონდა... შაგი აბრეშუმის შემოკერილი შარვალი მეცვა და ბანტებიანი, კობტა ფეხსაცმელები; თეთრ ყიღეტზე ყოველთვის ოქროს ძეწკვი მქონდა ჩამოკიდებული; მარცხენა ხელზე ბეჭდები მიეღვარებდნენ...

— ნუ თუ, ბატონო ჟერარ, ნუ თუ? — გაკვირვებით და აღტაცებით იმერებდა ლედი ჯენი, რომლის ლამაზი სახეც მთლათ განათებული იყო სიამოვნებით. — ღმერთო, მართლაც რა ლამაზი იქნებოდით! მწვანის დუქანი მაშინაც გქონდათ?

— რასაკვირვებია, არა, ჩემო პატარა ლედი! — უნებლიეთ გაიღიმა მოხუცმა. — აქ გითხარით, მე მაშინ ნამდვილი დიდებული კაცი ვიყავი და არა მდღეს!

— აბა რას აკეთებდით, ბატონო ჟერარ? მე მინდა გავიგო, რით უოულობდით ფულს მაშინ, როცა თმას იხუჭუჭებდით და ოქროს ძეწკვს ატარებდით!

— მე პროფესორი ვიყავი, ჩემო პატარა ლედი, და იმით ეოუოლობდი ფულს.

— პროფესორი? მერე რა არის პროფესორი? ჩემ სიცოცხლეში არ გამიგონია ეგ სიტყვა!

— პროფესორი მასწავლებელია, პროფესორს ისეთ კაცს უძახიან, რომელიც გაცვეთილებს აძლევს.

— მაშ თქვენ მუსიკის გაცვეთილებს აძლევდით? ჰო, მე დიდი ხანია ამას მიმხედარი ვიყავი! — წამოიძანა ლედი ჯენმა. — მაშ აი, რატომ გიყვარსთ აგრე ძალიან მუსიკა!

— არა, პატარა ლედი, მე მუსიკის-კი არა, ცეკვის მასწავლებელი ვიყავი. წარმოიდგიეთ, მე ჩემ მასწავლებლებს იატაკზე სრიალს და ტრიალს, თითქმის ფრენას ვასწავლიდი! — და მოხუცმა ჟერარმა, უწინდელი დროის მოგონებით გატაცებულმა, მოიკიდა ხელები იქით.



აქეთ განიერ შარვალზე, გასრიალ-გამოსრიალდა იატაკზე, კონტაქტში შემოტრიალდა და მერე ლამაზათ თავი დაუქრა ლედი ჯენს.

— ოჰ, რა კარგია, რა მშვენიერებაა! გაიმეორეთ, ერთხელ კიდევ გაიმეორეთ, ბატონო ჟერარ!—ალტაცებით შესძახა ჯენმა.

ჟერარმა გაიღიმა და უარის ნიშნათ თავი გაიქნია.

— არა, ჩემო პატარა ლედი, ესეც საკმარისია! მე მინდოდა მხოლოდ მეჩვენებინა თქვენთვის, რა ცქვიტი და რა მოხერხებული ვიყავი ერთ დროს. ყველა ალტაცებული იყო ჩემი ცეკვით... საუკეთესო ქუჩაზე ვიდექი საუკეთესო სახლში.. და ყველა დიდებულ დედ-მამას თავისი შვილები ცეკვის სასწავლებლათ ჩემთან მოჰყავდა.

— მერე რათ გადმოხედით იმ ქუჩიდან, იმ სახლიდან? — გაკვირვებით შეეკითხა ჯენი, რომელსაც ვერ გაეგო, რაღათ დაქირდა ჟერარს ნუვანილის დუქნის გაღება და საძაგელი წინსაფარის აფარება.

— ბევრი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ჩემო პატარა ლედი! — ამოოხერით უპასუხა ჟერარმა. — მე დაებერდი... ფეხებმა ტკივილი დამიწყო, უწინდელივით სრიალი და ტრიალი აღარ შემეძლო... პარიკიდან ცეკვის ახალი მასწავლებელი ჩამოვიდა და ყველა ჩემი მოსწავლეები მასთან გადავიდნენ... ფული აღარ მქონდა, რადგანაც, სანამ შემეძლო, ისე ეცხოვრობდი, როგორც ნამდვილი დიდებული ბატონი... ბოლოს ისე დავსუსტდი, ისე გავღარიბდი, რომ იძულებული შევიქნენი — ხილის და მწვანის დუქანი გამეღო...

— ღმერთო, როგორ მეცოდებით! — წყენით წაშლიძახა ჯენმა და მის დიდ, ლურჯ თვალებში თანაგრძნობის კრემლებმა იელეგს.

— არაფერია, არაფერი, პატარა ლედი, ყოველთვის ახალგაზდა და ყოველთვის ბედნიერი ხომ ვერ იქნება ადამიანი! — დასამშვიდებლათ ღიმილით მიუგო ჟერარმა და მერე ეშმაკურათ დაუმატა. — იცით, რას ვეტყვით? მოდით, თუ გინდათ, ჩემგან ცეკვის გაკვეთილები აიღეთ ხოლმე! მართალია, დაებერდი, უწინდელივით სწავლებაც აღარ შემეძლია, მაგრამ მაინც ვცდი. . და დარწმუნებული ვარ, რომ რამდენსამე ხანს შემდეგ თქვენ მშვენიერი ცეკვა გეცოდინებათ.

— მართლა, ბატონო ქერაზ? — აღტაცებით წამოიძახა ხანძარი და მარდათ ჩამოსრიალდა ზალალი სკამიდან ძირს; სახე მთლათ გაუზბრწყინდა, ლოყები აუწითლდა, თვალეში უსაზღვრო სიხარული გამოეხატა. — აი, მზათა ვარ! მაშ დავიწყეთ!

— ძალიან კარგი. იდექით ავრე, როგორც დგახართ, მე-კი ახლავე გაჩვენებთ, საით უნდა წაიღოთ ფეხებო. — მხიარულათ თქვა ქერაზმა, აიწია შუბლზე თავისი დიდა სათვალეები, მოიკიდა შარგლის განიერ ტოტებზე იქით-აქეთ ხელი და დაიწყო: — აბა, პირველი პოზიცია, ფეხები აი ასე დადგით. გასწორდით. კაბაზე იქით-აქეთ ხელი მოიკიდეთ და ცოტა ასწიეთ. ავრე. მარჯვენა ფეხი წამოსწიეთ! ახლა მარცხენა! კარგი! შემომხედეთ! აი, ასე! მარჯვენა ფეხით... მერე მარცხენით... ერთი! ორი! სამი! გაიმეორეთ! მარჯვენა ფეხით, ერთი! ორი! მარცხენათი! ერთი! ორი! განზე გასრიალდით! ერთი! ორი! სამი! მობრუნდით! ერთი! ორი! სამი! კარგი! ახლა კარგათ მიყურეთ, უკან-უკან უნდა წაგიდეთ. მარჯვენა ფეხით! მარცხენათი! გაიმეორეთ! ერთი! ორი! ახლა წინ წადით! ერთი! ორი! სამი! ოთხი — და მობრუნდით. ახლა უკან! ერთი! ორი! სამი და ოთხი! ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო პატარა ლედი! მალე, ძალიან მალე მშვენიერი სეკვა გეცოდინებთ!

ყოველი მაყურებლის ყურადღებას მიიქცევდა და ყველას აღტაცებას გამო-წვევდა ის მშვენიერი სურათი, რომელსაც ამ წამს მოცეკვავე პატარა ჯენი წარმოადგენდა; აცვლებული და გამხიარულებული, გაბრწინებული დიდი ლურჯი თვალებით და აწეწილი, ოქროსფერი გრძელი ხუჭუჭი თმით ის მსუბუქათ დაჰქროდა დუქნის ერთი კუთხიდან მეორეში, მწვანელით და ხილით საესე გობებს შორის, ხტოდა, ტრიალებდა, სრიალებდა. მერე მიჰქროდა ქერაზისაკენ და ისე უკრავდა მას თავს, როგორც ცეკვის კანონები მოითხოვდნენ ორმოცდა-ათი წლის წინეთ. ორ-ეე ხელათ მას აეწია თავისი თხელი და გამსჭვერი, თეთრი კაბის ქვედა-ტანი, გადაეხარა გვერდზე ლამაზი პატარა თავი და ცეკვის დროსაც-კი ყურადღებით



ისმენდა ჟერარის ყოველ სიტყვას... ჟერარი-კი იდგა შუა ოთახში, თვალს ადევნებდა ბავშვის ყოველ მოძრაობას და ხან-და-ხან კმაყოფილებით თავს აქნევდა ხოლმე...



როდესაც გაკეთილი გათავდა, ჯენი ისარივით გაჰქანდა პეპსი-საკენ ამ ახალი ამბის მისახარებლათ.

— შენ ნამდვილი ბედნიერი ბავში ხარ!—სიყვარულით უთხრა ბავშვს პეპსიმ და აღტაცებით ჩაიხუტა იგი გულში.— ორი დღის განმავლობაში შენ იზოფე მუსიკის, სიმღერის და ცეკვის მასწავლებლები!

ელ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)



გაქტერიები ანუ გასილები.

II



ოგორც წინა წერილიდან შეიტყვე, ჩემო პატარა მკითხველო, ზოგიერთი ბაქტერია ადამიანისათვის უწყინარია, ზოგს სარგებლობაც მოაქვს, ბევრი კი ადამიანის ჯანმრთელობის საშინელი მტერია. ის ბაქტერიები, რომლებიც ჩვენთვის უვნებელი არიან, ბლომათ ცხოვრობენ ჩვენ პირში. ენას ან ღრძილებს რომ ნერწყვი ააფხიკო და მიკროსკოპში გაშინჯო, შიგ გაარჩევ ძალიან ბევრ ბაქტერიებს; ზოგი მათგანი რგვალია, ზოგი მოგოძო ტანის. ზოგი მათგანი ცალკ-ცალკე ცხოვრობს განდგვილათ, ზოგი კი ორი, სამი, ოთხ და მეტიც ერთათ დასეირნობენ, სხვები კი მთელ საზოგადოებას შეადგენენ. ეს ბაქტერიები თავისუფლათ ცხოვრობენ ჩვენს პირში, აქ იზრდებიან, საზრდობენ, მრავლდებიან, ჩვენ კი ეერაფერს ვერ ვიგებთ. შეიძლება შენ იფიქრო, ჩვენს პირში რა საზრდოა, რომ შიგ ბაქტერიებმა დიდხანს გაძლონო. მაგრამ პატარა ბაქტერიისათვის ჩვენს პირში ძალიან ბევრი საზრდო მოიპოვება. ნერწყვი ანუ ფურთხი ცალიერი წყალი-კი არ არის, არამედ იმაში გახსნილია სხვა-და-სხვა ნივთიერება, რომელსაც ბაქტერია საზრდოთ ხმარობს.

გარდა ამისა ყოველი იჯრის შემდეგ ჩვენ პირში რჩება საჭმლის პატარ-პატარა ნამცეცები. ბაქტერიებიც მიესევიან ამ ნამცეცებს და საზრდოობენ. რასაკვირველია ასეთი ნამცეცები ბლომათ რჩება ბინძურ და უსუფთაო ადამიანის პირში, ამიტომაც ასეთი ადამიანის პირში ბაქტერიები ძალიან ბევრი არიან და განუწყვეტელ ღზინა და ქეიფს ეძლევიან, რადგანაც საზრდო ერთობ ბევრი აქვსთ. ვისაც უნდა, რომ პირში ბაქტერიები არ გაუმრავლდეს, მან ყოველთვის, როდესაც საჭმელს შეჭამს, პირი რამდენჯერმე კარგათ უნდა გამოირეცხოს წყლით: ამით ის მოიშორებს პირიდან მიღებული საჭმლის ნამცეცებს, რომლებითაც ბაქტერიები საზრდოობენ. გარდა ამისა პირში გამოვლენებული წყალი ნამცეცებს გარდა ბაქტერიებსაც გამოიტანს პირიდან და ამით პირს ასუფთავებს. მე შეცხვედრივარ ხოლმე ისეთ ბავშვებსა და ღიღებსაც, რომელთა სიახლოვეს ყოფნაც დამზარებია, რადგანაც პირიდან უსიამოვნო სუნის ამოსდისთ, პირი უყართ. ამის უმთავრესი მიზეზი უსუფთაობაა: ვინც პირს არ ირეცხავს, მის პირში ბაქტერიები ძალიან მრავლდებიან, ალბობენ პირში დარჩენილი საჭმლის ნამცეცებს და გლახა სუნიც აქედან წარმოსდგება.—როგორ, განა ბაქტერიებს საჭმლის დაღობა შეუძლიათო? გოცდები შენ. დიახ, შეუძლიათ, ჩემო პატარა მკითხველო, და ქვეყნათ რომ ბაქტერიები არ იყვენ, არც არაფერი დაღებოდა, არც არაფერი დაიხრწნებოდა.

ბაქტერიები ალბობენ დახოცილ ცხაველებს, ხეს, ხის ფოთლებს, სხვა-და-სხვა უწმინდურებას; დამპალი ნივთიერება ერევა დღამიწაში და იმის ზედა პირს ანოყიერებს. განოყიერებული მიწა მეტ მოსავალს იძლევა და აქედან ცხადა, თუ რა სარგებლობა მოაქვსთ ასეთ ბაქტერიებს ადამიანისათვის. ევროპაში, სადაც ხალხს მეტი სწავლა და ცოდნა აქვს, ვიდრე ჩვენ, ქართველებს, ახლა მიწას ბაქტერიების შემწეობით ანოყიერებენ. შეიძლება, ბაქტერიები



საქართველოს
ხალხთა მწიგნობრობის
სამსახურისთვის

ისე მოაშენოს ადამიანმა, როგორც რაიმე შინაური ფრინველი ან ოთხფეხი. ამისათვის საჭიროა მხოლოდ შესაფერი საზრდო და ზომიერი სითბო. მაგალითათ შუშაში რომ ბულიონი ჩაასხა, შიგ რამოდენიმე ბაქტერია ჩასვა და თბილათ შეინახო, რამოდენიმე დღის შემდეგ ბულიონში ბაქტერიები გამრავლდებიან. სხვა-და-სხვა საშუალებით სამზღვარ გარეთ აშენებენ ბაქტერიებს, რომლებსაც მიწის განოყიერება შეუძლიათ, შემდეგ მოაბნევენ მიწის ზედაპირზე და ასეთი მიწა მოსაველს კარგათ იძლევა.

როგორც შემდეგ შეიტყობ, ბაქტერიები ბევრგვარ სნეულებას აჩენენ ადამიანის ტანში. სამაგიეროთ ზოგიერთი ბაქტერიები ასეთ სნეულების გამჩენ ბაქტერიებს ხოცავენ და ამგვარათ ადამიანისათვის სარგებლობა მოაქვს.

ახლა მივმართოთ იმ ბაქტერიებს, რომლებიც სხვა-და-სხვა სნეულებას აჩენენ: ასეთი ბაქტერიები ძალიან ბევრია და მომავალში კიდევ მეტი იქნება, რადგანაც ჯერ ყველა მათგანი არ იციან მეცნიერებმა, მოკავალში-კი გაიგებენ და შეისწავლიან. უწინდელ დროში ყოველგვარ სნეულებას ეშმაკებს, კუდიანებსა და სხვა-და-სხვა მანე სულებს აწერდენ. გაუნათლებელ ხალხს დღესაც ასე ჰგონია ჩვენში, მაგრამ ასეთი აზრი სრულებით ტყუილია, რადგანაც ქვეყანაზე არავითარი კუდიანი არ არის, არც ეშმაკი და არც რაიმე მანე სული. მეცნიერებმა დააპტკიცეს, რომ ძალიან ბევრ სნეულებას ბაქტერიები აჩენენ, და ასეთ სნეულებებს დაარქვეს გადამდები სნეულებანი. გადამდები სნეულებანი არიან: ქლეკი, სახადი, ხოლერა, ქამი, მუცელა, ყვავილი, ყელჭირბა, წითელა და სხვ. ყოველ ამ სნეულებას სხვა-და-სხვა ბაქტერია იწვევს. ერთ ბაქტერიას მხოლოდ ერთი სნეულების გაჩენა შეუძლია, — მაგალითათ, ქლეკის ბაქტერიამ თუ ადამიანის ფილტვში დაიბუდა, მხოლოდ ქლეკს ვაჩენს, სხვას ვერაფერს; ხოლერის ბაქტერია მხოლოდ ხოლერას აჩენს და სხვ. ადამიანს რომ რაიმე გადამდები სენი შეეყაროს, საჭიროა, რომ იმის ტანში ამ გადამდები სენის ბაქტერიამ დაიბუდოს. მაგა-

ლითათ თუ სახადის ან ხოლერის ბაქტერიამ ადამიანის ნაწლევებში არ დაიბუდა, ისე ვერ დაასნეულებს. ამიტომ საჭიროა, ეიცოდეთ, როგორ და საიდან შემოდინ ადამიანის ტანში სხვა-და-სხვა გადამდებ სენთა ბაქტერიები.

როგორც ზემოთ ვითხარით, ბაქტერიები ქვეყანაზე ძალიან გავრცელებული არიან; ისინი ცხოვრობენ ჰაერში, მიწაში და წყალში. ყოველი ჩვენგანი ჰაერს ისუნთქავს, საჭმელსა კვამს, წყალსა სვამს, ამიტომ, თუ ისეთ ჰაერს ვისუნთქავთ, სადაც ბაქტერიები ბევრია, ჰაერთან ერთად ბაქტერიებიც ჩაიღვან ჩვენ ფილტვებში და, თუ მოახერხებს, იქ დაიბუდებენ. თუ მოახერხებს-მეთქი ამიტომ ვამბობ, რომ შესაძლებელია, ბაქტერიები ადამიანის ფილტვებში ჩაუნდნენ, მაგრამ ადამიანი იმდენად მაგარი აგებულობისა გამოდგეს და ფილტვებიც იმდენად სალი, რომ ბაქტერიებმა იქ ვერა გააწყონ-რა; ამ გვარ შემთხვევაში ბაქტერიები იხოცებიან. თუ იმ საჭმელში ან წყალში, რომელსაც ჩვენა ვხმარობთ, ბაქტერიები არიან, საჭმელთანა და წყალთან ერთად ჩვენს კუჭში ბაქტერიებიც ჩაიღვან. კუჭის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მისი კედლებიდან ყვანავს კუჭის წვენი; ეს წვენი გაერევა ხოლმე კუჭში ჩასულ საჭმელს და სულ ერთიანად გააღნობს და გათქეფავს. ხორცის ან ჰუროს ნაჭერი რამდენიმე საათის შემდეგ კუჭში ისე გააღნობა, როგორც შაქარი წყალში, აქედან შენც მიხედები, რომ თუ კუჭი ისე ერევა იმ საჭმელს, რომელიც მასში ჩადის, და თქეფავს, პატარა ბაქტერიებსაც ადვილად მოერევა, დახოცავს და გათქეფავს. კუჭი მართლაც ასე იქცევა და სულ მუხრს ავლებს იმ ბაქტერიებს, რომლებიც იქითკენ ჩაისივრნებენ ხოლმე. მაგრამ ზოგიერთ ბაქტერიას, როგორც მაგალითად ტიფისას, ვერას აკლებს; სხვები გაასწორებენ ხოლმე კუჭს და, სანამ ის მათ მოკლაედეს, ნაწლევებში ამოყოფენ თავს. თუმცა ნაწლევების კედლებიდანაც ყვანავს ნაწლევების წვენი, მაგრამ წვენი ბაქტერიებს ვერას აკლებს.

რადღი ბაქტერიები კუჭს გაღურჩებიან და ნაწლევებში ჩამოვ-



ლენ, აქ თავისუფლათ მრავლდებიან, გადადიან ადამიანის სისხლში, სხვა-და-სხვა ასოებში და ასნეულებენ მას. ამგვარათ ეხდებით ავით სახადით, ხოლოერთით, ქამითა და სხე. რადგანაც სახადის, ხოლოერთის და ქამის ბაცილები უმთავრესათ საჭმელთან და წყალთან ერთათ ჩადიან ჩვენს კუჭში და აქედან ნაწლავებში გადადიან, ამიტომ სუფთა საჭმელსა და სუფთა წყალს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვით ადამიანის ჯანმრთელობისათვის. შეიძლება, რომ ბაქტერია არც საჭმელსა და არც წყალს არ ჩამოჰყვეს, არც ჰაერს, მაგრამ სხვა გზით შემოვიდეს ჩვენს ტანში. ჩვენი კანი საუცხოვო ფარს წარმოადგენს, რომელიც არავითარ ბაქტერიას არ უშვებს ჩვენს ტანში, მაგრამ კანი თუ რომელიმე ალაგას ან გაიჭრა, ან გასკდა, ამით ბაქტერიებს ჩვენი ტანისაკენ გზა ეხსნებათ. ერთმა ექიმმა თითი გაიჭრა; დანის პირზე თურმე ქლეკის ბაცილები ყოფილიყვენ, ეს ბაცილები პატარა ჭრილობიდან სისხლს შევრიენ და საბრალო ექიმი ორ კვირას შემდეგ გარდაიცვალა. გაჭრილი თითი ან სხვა ალაგი არასოდეს არ უნდა შევიწვიოთ ხოლმე გასერილი შესახვევებით, იმიტომ რომ ადვილი შესაძლებელია გასერილ შესახვევში რაიმე სნეულების ბაცილები იყვენ და ჭრილობიდან ჩვენს ტანში გადმოვიდენ. ახლა შენ თვითონ მიხედები, რამდენათ ცუდათ ირჯებიან ისინი, ვინც ჭრილობაზე აბლაბუდას ადებენ ხოლმე. აბლაბუდა არავითარ წამალს არ წარმოადგენს; პირიქით, შესაძლებელია აბლაბუდაში ბაქტერიები იყვენ, ჭრილობიდან სისხლში გადავიდენ და ადამიანი დასნეულონ. გაეცნოთ ახლა სათითაოთ ზოგიერთი ის ბაქტერიები, რომლებიც სხვა-და-სხვა სნეულებას აჩენენ.

III

მას აქეთ, რაც ადამიანის თვალმა ბაქტერია დაინახა და შეისწავლა, დიდი ხანი არ არის, მაგრამ ზოგიერთი ავთომყოფობის მი-

ზეზი რომ უხილავი პატარა არსებანი არიან, ასეთი აზრი უძველეს დროსაც-კი სუფევდა. ასი წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე რომში ცხოვრებდა პოეტი ტერენციოს ვარრო, რომელიც სწერდა: ჰობიან ადგილებში იზრდებიან რალაც პაწაწინა ცხოველები, რომლების გარჩევაც თვალს არ შეუძლია, ცხვირიდან და პირიდან ისინი ჰაერს ჩაჰყევიან ჩვენს ტანში და მძივე ავთამყოფობას აჩენენო. ამ გვარსავე აზრს გამოთქვამს თავის ნაწერებში მაშინდელი დროის მეორე რომაელი პოეტი, ლუკრეციოსი, მას აქეთ ასეთი აზრის მომხრეები ბევრი იყვენ, მაგრამ, რას წარმოადგენდენ ეს პატარა ცხოველები, რომლებიც სხვა-და-სხვა სნეულებას აჩენდენ ადამიანის ტანში, არავინ არ იცოდა, რადგანაც მათი დანახვა არავის არ შეეძლო. მჩრდილმეტე საუკუნეში გამოიგონეს მიკროსკოპი. მიკროსკოპის შემწებობით ამავე საუკუნეში, — 1683 წელს, ჰოლლანდიელმა ლევენჰუკმა გაარჩია ბაქტერიები საკუთარ ნერწყვში. ამგვართ ლევენჰუკი პირველი ადამიანი იყო მთელ დედამიწის ზურგზე, რომელმაც ბაქტერიები იხილა!

მას აქეთ მეცნიერებმა დაიწყეს შრომა, აღმოაჩინეს ბევრი სხვა-და-სხვა გვარა ბაქტერიები, შეისწავლეს მათი მოშენება, გამოიკვლიეს მათი თვისებანი და დამტკიცეს, რომ ეს პატარა ბაქტერიები ადამიანის ტანში ბევრ სხვა-და-სხვა სნეულებას აჩენენ. ამ დიადი ქემპარტების დამტკიცებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საფრანგეთის შესანიშნავ მეცნიერს, პასტერს, რომელიც რამოდენიმე წელიწადია, რაც გარდაიცვალა, გერმანელ მეცნიერს, კოხს, რომელიც დღესაც ცოცხალია და სამეცნიერო ასპარეზზე დაულაღვათ მუშაობს, და ბევრს სხვას.

აი ზოგიერთი ის ბაქტერიები, რომლებიც სხვა-და-სხვა გვარ სნეულებას აჩენენ და რომლებიც მეცნიერებამ უკვე კარგათ შეისწავლა.

1. დიფტერიტი ანუ ყელჭირკვა.

ძალიან ბევრი იქნება თქვენში, ჩემო პატარა მკითხველო, ისეთები, რომლებსაც კარგათ ეცოდინებათ, თუ რა არის დიფტერიტი, პატარა ბავშვების ეს სასტიკი მტერი. დიფტერიტი დღემდე მძიმე ავთამყოფობათ ითვლებოდა, დღეს-კი დიფტერიტი ძველებურათ საშიში აღარ არის, რადგანაც მასთან საბრძოლველათ ახლა კარგი წამალი გვაქვს. დიფტერიტით უმთავრესათ ბავშვები ხდებიან ავთ, დიდები უფრო ძვირათ. ამ სენით შეპყრობილ ყმაწვილს უსიყვება ხახა, რომელზედაც მოთეთრო აფსკა გადაეფარება ხოლმე, და აძლევს სიცხეს ორმოც გრადუსამდე. ორი-სამი კვირის განმავლობაში სიცხე თანდათან კლებულობს, ყელის სიმსიენე ცხრება, თეთრი აფსკა ცილდება და ნახველს გამოჰყვება, ბავშიც რჩება. 1884 წელს ანუ 17 წლის წინეთ მეცნიერმა ლეფლორმა დაამტკიცა, რომ დიფტერიტის მიზეზი არის გძელი და მომსხო ტანის ბაცილა, რომელსაც მან დიფტერიტის ბაცილა დაარქვა. ეს ბაცილა დაიბუდებს ხოლმე ბავშვის ხახაში, გამრავლება აქ, შეასიყვებს ხახას და ამგვართ ასნეულებს ბავშს. ეს ბაქტერიები ძალიან ბლოჩით არიან იმ თეთრ აფსკაში, რომელიც დიფტერიტის დროს ხახას გადაეფარება ხოლმე.

2. ხოლერა.

ხოლერა არის მძიმე სნეულება, რომელიც ერთნაირათ ემტერება დიდსაც და პატარასაც. ხოლერით ავთგამხდარს აუეარდება საშინელი ფალართობა და პირის ღება. ავთმყოფს აძლევს სიცხეს, ის თანდათან სუსტდება და რამოდენიმე დღეში ან მოკვდება ან გამობრუნდება. 1884 წელს კოხმა დაამტკიცა, რომ ხოლერას ერთგვარი ბაცილა აჩენს. ეს ბაქტერია მოკლე და მახრილი ტანისა არის,

ქართული
ენის ინსტიტუტი

ის კარგათ იზრდება და მრავლდება კართოფილზე, ბულონში. ხოლერის ბაცილა საჭმელს ან წყალს ჩაჰყვება ხოლმე ადამიანის ტანში, გადადის წელებში და აქ ბინავდება. წელებში ბაქტერია მრავლდება, აჩენს წელების ანთებას და ამგვარათ ასნეულებს ადამიანს.

3. სსხადი ანუ ტიფი.

სახადი არის ხანგრძლივი ავთმყოფობა, რომელიც ერთ თვემდე გაატანს. მისი ნიშნებია: თავის ტკივილი, მუცლის წიწკნა ჰიპის სწორა და ხანგრძლივი სიცხე. 1880 წელს კლებსმა და ებერტმა დამტკიცეს, რომ სახადს პატარა ჩხირის მზგავსი ბაქტერია აჩენს. ეს ბაქტერია დაიბუდებს ხოლმე ადამიანის წელებში, შეასიფეს და დააჩირქებს მას სხვა-და-სხვა ალაგას და ამის შედეგია წელების წიწკნა და სიცხე. გაიფლის თუ არა წელების სიმსიენე, ავთმყოფიც ნელა ნელა რჩება. ხანდახან-კი წელები ისე დასიფდება, რომ ავთმყოფი ვეღარ უძლებს და კვდება. სახადის ბაქტერია კარგათ იზრდება და მრავლდება კართოფილზე.

4. ჭ ჯ ე ქ ი.

ჭლეკი მეტათ საშიში მტერია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ცოტა მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც ჭლეკისა არ ეშინოდეს. უთხარით ავთმყოფს, ჭლეკი გჭირსო, და, რა გულადიც უნდა იყოს, მაშინეე სასაწარკვეთილებაში ჩაეარდება. ამის მიზეზი ცხადია: ჭლეკით ავთმყოფი უმეტეს შემთხვევაში კვდება, მორჩენა იშვიათია. ჭლეკის ბაცილა პირველათ აღმოაჩინა კახმა 1882 წელს ჭლეკიანის ნახეელში და ფილტვში. ეს ბაცილა პატარა და მოხრილი ტანისა არის. კარგათ იზრდება და მრავლდება სისხლში, ბუფიონში, კართოფილზე. ჭლეკის ბაცილები ჩადიან ადამიანის ფილტ-



ქართული
ლიბრერი

ვებში, მრავლდებიან აქ, აღბობენ ფილტვებს და ნელ-ნელა უსაბ-
ბენ ადამიანს სიცოცხლეს. ქლექით აეთმოყოს აუფარდება ხოლმე
ხელებს, მოსდის ჩირქიანი და სისხლიანი ნახველი, აძლევს სიცხეს და
ხორცსაც ძალიან ჩამოაყრევიებს ხოლმე. ქლექით მარტო ადამიანი
კი არ ხდება აეთ, არამედ შინაური საქონელიც სწეულდება. ქლე-
ქის ბაცილები ძალიან ბევრი არიან ქლექიანის ნახველში. თუმცა
ჩვენში ქლექიანს ძალიან ვრიდებიან, მაგრამ ქლექი იმდენათ გადა-
მდები არ არის, როგორც ჰგონიათ. გადამდებია მხოლოდ ნახველი.
თუ ნახველს გაუფრთხილდით, სულ ქლექიანებში რომ იცხოვროთ,
მაინც არ გადაგედებათ. ქლექის ბაცილები არის ქლექიანის ნახველ-
ში. ამიტომ, თუ ქლექიანი იატაკზე ან მიწაზე აუფრთხებს, ნახველი
გაშრება, მტვრათ იქცევა, ბაცილები ჰაერში გადავლენ და ჰაერიდან
სალი ადამიანის ფილტვებშიც ჩავლენ. თუ ქლექიანმა რაიმე ჭურ-
ქელში მოაგროვა ნახველი და შემდეგ ცეცხლში დასწვა, ბაცი-
ლებიც ჰაერს ველარ შეერევიან და ქლექიანი მაშინ სრულებით
საშიში აღარ იქნება.

გარდა ამ სწეულებათა, რომლებიც მე ჩამოგიტვალე, კიდევ
ბევრია ისეთი სწეულებანი, რომლებსაც სხვა და სხვა ბაცილები იწ-
ვევენ, მაგალითათ, — ინფლუენცია, ციმბირის ქირი ანუ ხუზარა,
ფილტვების ანთება, კეთროენება (проказа) და სხვა. არიან ისეთი
სწეულებანიც, რომლებსაც მიზეზიც ბაცილები უნდა იყვენ, მაგრამ
ეს ბაცილები ჯერ ვერ დაუნახავსთ და ვერ შეუსწავლიათ მეცნი-
ერებს. ასეთია ყვავილი, წითელა და სხვ. თუ კი მიკროსკოპი პატა-
რა არსებას ძალიან აღიღებს, რატომ ეს ბაქტერიებიც ვერ დინახეს
მეცნიერებმაო? უეჭველია იკითხვ შენ. ზოგიერთი ბაქტერია იმ-
დენათ პატარაა, რომ იმის გამოსაჩინათ მიკროსკოპიც კი არ კმარა.
ამას გარდა ბაქტერიის დასაწახვათ სხვა-და-სხვა საღებავებია საჭირო;
ეს საღებავები ბაქტერიებს ლებავენ და ამით შესაძლებელი ხდება მათი
დანახვა. რომელ ბაქტერიას როგორი საღებავი უკეთ ლებავს,
ეს ძნელი ვასაგებია და ამიტომაც ბევრი ბაქტერია ჯერ კიდევ



ვერ დაუნახავს მეცნიერების თვალს, მაგრამ იმედია, მომავალში ყველა ბაქტერიები გვეცოდინება.

— ძალიან კარგი, დაიბუღა ადამიანის ტანში ბაქტერიამ, მაგრამ როგორ და რა საშუალებით ასნეულებს მასო? იკითხავ შენ. არ გაგიგონია, ეს და ეს ბავში გველმა დაკბინა და დასივდაო? გველს აქვს ერთგვარი სითხე, შხამი, რომელიც ნაკბენი ალაგიდან ადამიანის სისხლს შეერევა და ადამიანს ასივებს. სხვა-და-სხვა გადამდებ სენთა წარმომშობი ბაქტერიებიც შხამს აჩენენ იმ ალაგას, სადაც ისინი საზრდოობენ და მრავლდებიან. ეს შხამი შეერევა ადამიანის სისხლს და ამგვარათ მთელ ტანს წამლავს და ასნეულებს. მაგალითათ დაიბუღეს ხოლერის ბაცილებმა ნაწლევებში; აქ იწყებენ ისინი საზრდოობას და გამრავლებას; ამავე დროს გააჩენენ სხვა-და-სხვა შხამს, ეს შხამი შეერევა სისხლს და დაასნეულებს ადამიანს. თუ ეს წერილი გულდასმით ჩაიკითხე, გეხსომება, რომ ყოველ გადამდები სენით ავთმყოფს სიცხეს აძლევს. ამ სიცხის მიზეზი ბაქტერიების შხამია. როდესაც ადამიანი მოიხდის ერთხელ რაიმე გადამდებ სენს, მეორეთ ზოგიერთი სრულებით აღარ შეხედება. ზოგი იშვიათათ შეხედება, მაგრამ მეორეთ უფრო ადვილათ იხდის, ზოგს კი მოხდა ვერ პატიობს, მეორეთაც შეხედება და მეტჯერაც.

სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელოა, ანდაზათ თქმულა. უსწავლელ ხალხს ასე ჰგონია, ავთმყოფობა ავი თვალის ბრალია, ეშმაკისო და სხე. სწავლეულებმა-კი დაამტკიცდეს, რომ სხვა-და-სხვა გადამდებ სნეულებას უჩინარი არსებანი—ბაქტერიები აჩენენ. ამ აზრის საუკეთესო დამტკიცება ის არის, რომ მეცნიერებმა მოახერხეს ამ ბაქტერიების მოშენება. რომ შეხვიდე იმ მეცნიერის სამუშაო ოთახში, რომელიც ბაქტერიებს იკვლევს, ყურადღებას მიექცევ სხვა-და-სხვა შუშებს. ერთში ბულოონია, მეორეში სისხლი, მესამეში კართოფილი და სხე. ყველა ამ შუშებში სხვა-და-სხვაფერის ობი არის მოკიდებული. თუ დაეკითხები მეცნიერს: ეს რა არისო?—ამ შუშაში ქლექის ბაცილები მყავს მოშენებული, ამ შუშაში ხო-




ქართული
ენების

ლერის, ამაში ჟამის, აქ სახადისო და სხე., გიპასუხებს ის. ობი-კი წარმოადგენს გამრავლებული ბაქტერიების გროვას ანუ კოლონიას. ამ შუშებიდან რომ აიღოთ თუნდა ნემსის წვერით ბაცილები და სალ ადამიანს უჩხელიტოთ, ბაცილები ტანში დარჩებიან, რამოდენიმე დღის შემდეგ ადამიანი დასნეულდება და შეიძლება კიდევ მოკვდეს. ასეთი უცაბედა შემთხვევით არა ერთი და ორი დასნეულებულა და გამოსალმებია წუთისოფელს.

ჯერ ეს იკმარე, ჩემო პატარა მკითხველო, და სხვა შემდეგისათვის იყოს.

ი. გამარტუღი.



ურმის საფლავზე.

(კუძღვნი დაკვირვან მესხის სსჯენას).



ს ბავში ერთხელ ქვეყანაზე დანაფარდობდა,
სიცელქ-კისკასით შეხაროდა მობიბინე ევლს,
სიცოცხლით საესე მშობლების წინ ჰბტოდა,
დარბოდა
და ხან შეფურქვევით ულიმოდა მბრწყინავ ცის
ნათელს.
ყვაეილთა შორის დადიოდა, ჰკრეფდა თაი-
გულს,
და მით ჰკაზმავდა თაეის საყვარელ დედო-
ფალეფსა,
იქვე მდგომ დედას უხარებდა ნაზ, გრძნო-
ბიერ გულს

და შეების ცრემლით უნაშებდა სპეტაკ თვალეფსა.
ციურ იმედით იგი მშობელს აფრთოვანებდა,
წინ უყენებდა სანეტარო, მბრწყინავ მომავალს,
კმუნვა სეედის წილ ნარნარ გულში იმას უნთებდა
სამარადისოთ სასიცოცხლო ლეთიურ ნაპერწყალს...
და დღეს კი... გაჰქრა ვით ყვაეილი, აღრე დამჰკნარი,
შემწიკელულ ხელით ნაზ ბუჩქიდან ჩამოწყვეტილი!

აღარ ახარებს მას დედის ხმა ამო და მტკბარი,
 მის ნაზ კალთის წილ—საფლავში დევს ხელ-დაკრეფილი!
 და მობიბინე სათიბითა შემოსილ საფლავს



ხშირათ თავს ადგას გულ-დამწვარი დედა მშობელი!
 თაე-ჩალუნული ზედ დაცქერის ამ გულის საკლავს
 და დაჰკეითინებს თვალზე ცრემლებ შვეშრობელი...

დ. თამაშვილა.

ჯ ა მ გ ა ზ ი.

(თარგმანი)



აკვირველი დაუდებარი იყო ჩემი ამხანაგი ზუბატოვი. სწავლასაც მეტათ გულ-გრილათ ეკიდებოდა, მაგრამ ის მაინც ყყველას გვიყვარდა, რადგან მეტათ კეთილი და კარგი ამხანაგი იყო. თუ შემთხვევა მიეცემოდა, სკოლაშიაც და კერძოთაც, თავს არ დაზოგავდა ამხანაგის გულისათვის. მასწავ-

ლებლები ყოველთვის სასტიკათ ეკიდებოდენ, რაკი ატყობდენ რომ სწავლა შეეძლო და კი არა მეცადინებოდა.

მე და ზუბატოვი დაახლოვებული მეგობრები ვიყავით და ყოველ ღონისძიებას ეხმარობდი, რომ გაკვირებისაგან გამომეყვანა; თითქმის ყველა გაკვეთილს მუდამ მე ეუშვადები. თუმცა გაკვეთილების მომზადებაში ჩვენ სრულიად არა ვგავდით ერთმანეთს, მაგრამ იყო ისეთი რამეებიც, რომლებსაც სწორეთ ერთ ნაირს გატაცებით ეუყურებდით. მაგ. ორივეს ძალიან გვიყვარდა გემნასტიკა, ზღვაზე მოგზაურობის აღწერის კითხვა. ზუბატოვი შესანიშნავათ აკეთებდა მალაყებს და ამაში ძალიან მჯობნიდა; რას არ მოიგონებდა, რომ თავისი სამავალითო გემნასტიკის ცოდნა გამოეჩინა! ააზ-

- მაშ ეისი ბრალია? განა შენი გაღათარგმნილი არ იყო?
- შენ რომ სულ სხვას ლაპარაკობდი?
- ეჰ, ჩემო ძმაო, სხვას ელაპარაკებდი მარა ეშმაკები მაში ეილოდა თაეში, როდესაც ეხედავდი, რომ ჯიბრით მექცეოდა. პირველში ხომ კარგათ დაეიწყე?.. არა?
- პირველში მართალია.
- მართალია, მაგრამ იმან რომ მითხრა სტყუიო?
- ეგეც მართალია, მაგრამ იმან შენ პირველი გვერდიდან გკითხა და შენ-კი შუადან დაიწყე, ბევრი გიყვირა, მოიცა, მოიცაო, მაგრამ შენ მანამ ბოლომდის არ ჩახვედი არ გაჩერებულხარ!
- აგრე ეიზამდი მაში! იმას რომ ყური დაუგდოს კაცმა ხუთ სიტყვაზე მთელ გრამატიკას გაგამეორებინებს. ერთათ ერთი საშუალებაა, უნდა სეტყვასავით მიაყარო სიტყვები.
- ჰო და, აკი იმანაც სეტყვასაებ მოგაკრა სამწვადეც.
- სამწვადე! ვაჯაფრებით გაიფორა ზუბატოვმა, გამეცალე იქით! ამას შემდეგ...
- რა, ამას შემდეგ? დაასრულე!
- ამას შემდეგ ჯანაბა შენ თავს, მე შენ აღარაფერსა გთხოვ.
- ნუ მთხოვ, ძალიან კარგი, მე მაგითი არა დამაკლდება-რა წადი შენ სტუკალოვთან და სულ ხუთებს დაგაჭერინებს.
- ოხ შენი!.. შეჭყვირა ზუბატოვმა, მაგრამ აღარა უთქვამს-რა, რადგან მე უკვე ქუჩის მეორე გვერდზე ვიყავი და მის ლაპარაკს ყურს არ ვუგდებდი.
- რამდენსამე ხანს ასე მივდიოდით, ჩუმათ, თაე-ჩალუნელები.
- მოიცა, ეი! გაჩერდი-მეთქი, კაცო! აქეთ, აქეთ! ყვიროდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზუბატოვი. მე შევხედე და დავინახე, რომ სახლის კედლის კუთხისაკენ ხელებით რაღაცას მანიშნებდა.
- მოდი-მეთქი, ბიჭო! ხედავ, მაკარონი, მაკარონი! ყვიროდა ის.



— შენ მგონი გაგიყდი. — შევეყიერე მეც და ცოტა გაუბედურებთ მიეუახლოვდი ზუბატოვს.

— გაგიყდი-კი არა და შენ ეი, ფოკუსნიკების პროფესორო, აბა ჩახე რა განცხადებაა ამ კედელზე?

მართლა გამოცხადებული იყო, რომ სახელ განთქმული ცირკი მაკკარონისა რამდენსამე წარმოდგენას გამართავს ჩვენ ქალაქში, სადაც სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ განთქმული ჯამბაზების ოჯახობა — ვისკონტები და შესანიშნავი მეთილისმე ტაკ-მაი.

მე და ზუბატოვი დიდხანს ვიდევით განცხადების წინ და თითქმის ზებირათ დეისწაელეთ ყველა ის სისულელე, რაც-კი იქ იყო გამოცხადებული; რასაკვირველია, ზუბატოვი უფრო ვისკონტის ოჯახობას აქცევდა ყურადღებას, მაგრამ მე მთლათ ტაკ-მაიმ გამიტაცა.

— გესმის, მათეულეებზე იელიან! მე შექველათ ვეცდები, რომ ვისწავლო მათეულეზე სიარული.

— რატომაც არა, თუ კისერი ჯერ არ მოგიტეხია ახლა მოიტეხნ. დაცინვით ეუპასუხე მე.

— არა, ჩემო ძმაო, კისერს-კი არ მოვიტეხ და ვისწავლი-კი უსათუოთ; რა დიდი რამ არის, უნდა სწორე გაჩერდე, რომ აქეთ-იქით არ გადიძლიო.

— შენ რაც გინდა ჰქენი! მხოლოთ მე ეს მაკვირვებს, რომ რანაირათ შეუძლიან იმ ტაკ-მაის შევიდეს შუა ცეცხლში და კი არ დაიწვას! ამას გარდა იქიდან გამოვიდეს სულ სხვა ტანისამოსით!

— ეგ რა გასაკვირველია, შექველია ის ისეთივე მატყუარაა, როგორც სხვა მეთილისმეები, — მიპასუხა ზუბატოვმა.

— ეი, რას ამბობ! მშენიერათ-კი გკოდნია. მე სადღაც წამიკითხავს, რომ საზღვარ გარეთ ფოკუსნიკების უნივერსიტეტი-კი არის. — თავგამოდებით მიეუგე მე.

— ეგ ალბათ გაღიაშენმა გამბო თავის ზღაპრებში და ის დაგხსომებია, თორემ ფოკუსნიკების უნივერსიტეტი ვის გაუგონია! დამცინა ზუბატოვმა.

— გადიამ-კი არ მიამბო, მე ნამდვილს გეუბნები და თუ შენ არ გავიგონია, ეგ დიდი საბუთი არ გახლავს. მაგას გარდა შენ ბევრი რამ არ იცი: მავალითათ იცი ბერძნული გრამატიკა?

ბერძნული გრამატიკის ხსენებამ ისე გააბრაზა ზუბატოვი, რომ თვალგმა ბრიალი დაუწყევს. იმან ერთი რაღაც წაიბუტბუტა და დაიწყო პალტოს ხდა.

კარგათ ვიცოდი რასაც ნიშნავდა მისი მომზადება და მეც დასახვედრათ მოვემზადე. ჯერ გაშტერებული, თვალ-გაჭყვტილი ერთმანეთს შეეცქეროდით, მერე ორივემ ხელგებზე დაფიქურთუხეთ და როგორც უნდა ერთმანეთს ეცემოდით, ამ დროს, მოულოდნელათ, რაღაც მანქანებით ჩვენ შუა გამოიჭიმა ბერძნული ენის მასწავლებელი, ბატონი ალფერაკი. სამივე რამდენსამე წამს გაშტერებული შეეცქეროდით ერთმანეთს, მაგრამ ისეთი სასაცილო სანახევები ეიყავით, რომ მაყურებელი უკეთეს სასაცილოს ვერას ნახავდა. ბოლოს ზუბატოვმა დაიწყო პალტოს ჩაცმა, მე ისევ ბოძივით ვიყავე გაშტერებული და ალფერაკი ხან ერთს გვიცქეროდა, ხან მეორეს.

— ძალიან კარგია! გაკვირვებული სახით დაარღვია სიჩუმე ბერძენმა—შშეენიერია! მესამე კლასის მოწაფეები აჯრე მეცადინეობთ?! ეგ არის თქვენი გაკვეთილების სწავლა?! სად მერე? ქუჩაში!

— ჩვენ გაკვეთილებსაც ვსწავლობთ... წარმოთქვა თავჩალუნულმა ზუბატოვმა.

— მაშ ის რაღა არის ყოველ გაკვეთილზე, რომ „ედინიცებს“ იღებ?

— ეგ თქვენი ნებაა, რაც გინდათ იმას დასწერთ, გაბრაზებით შენიშნა ზუბატოვმა.

— ეჰ, მაშ თქვენ ამტკიცებთ, რომ უსამართლოთ დაგისევით ხოლმე ბალებს? ძალიან კარგი, მე კიდევ გამოგცდი, თქვა იმან და გაბრუნდა; აღარც-კი შემოუხედნია ჩვენსკენ ისე გავგშორდა.

უკანასკნელი სიტყვა: „მე კიდევ გამოგცდით“, ისეთი კილოვით იყო ნათქვამი, რომ ჩვენ ამან ძალიან დაგვაფიქრა.



— აბა, ზუბატოვო, გაუთხილდი, ვუთხარი მე, როცა ცოტა გული მოვიბრუნე — იცოდე ვგ შენ ხეირს არ დაგაყრის თუ კიდევ შესციდი.

— ჯანაბა მაგის თავსა, ჩემთვის სულ ერთია, წაიბუტბუტა ზუბატოვმა და გადიგლა მხარზე ჩანთა.

— ისე შეუპოვრათ რაზე ელაპარაკებოდით? ვუსაყვედურე მე ზუბატოვს.

— მაშ რა მექნა, როცა უსამართლოთ მექცევა...

— ვთქვით სხვა დროს... ახლა ხომ თარგმანი ჩემი იყო?

— იმან რა იცოდა რომ შენი იყო! მაგრამ კარგი ერთი, თავი დაეანებოთ ამაზე ლაპარაკს და მოდი ამალამ, თუ ძმა ხარ, ცირკში წავიდეთ! ქულები და რუბაშკები სხვა ჩაეიცვით და ქანდარაზე შევიპაროთ. — მგებეწებოდა ზუბატოვი, რომელიც ისე გაამხიარულდა ცირკში წასვლის სურვილით რომ აღარაფერი ახსოვდა.

— ხვალ უეჭველია ბერძენი შენ გამოკითხვას დაგიწყებს, ის არა სჯობს, რომ ცირკში წასვლა გადაეღოთ შემდეგისთვის? მე მოვალ ამ საღამოზე შენთან და ერთათ გაეიმეოროთ ბერძნული. — შეენიშნე მე.

— არაფრის გულისთვის. სულ ერთია, ერთ საღამოს მაინც ვერ გაეიმეორობე ყველას. ამალამ ცირკში წავალ, ხვალ სკოლაში არ წავალ და მთელ დღეს კარგათ გაეიმეორობ.

საღამოს ორივე ცირკში ეიყავით გამოჭამული. ორივე დიდი აღტაცებული ეიყავით ჯამბაზების ოჯახობის და შესანიშნავი თვალთ მაქცი ტაკ-მაის ნახვით. მეტადრე ზუბატოვი ისე სცემდა ტაშს, ყვიროდა — ეაშას, აბრაგუნებდა ფეხებს, რომ ბოლოს ხალხმა შენიშნა და დაუწყეს ჯაგრობა, გაჩუმდი ნუ გაგვაყრუეო.

— აი ჯამბაზობა ამას ჰქვიათ! იძახოდა ზუბატოვი, როდესაც ცირკიდან გამოედიოდით, — ამასთან შედარებით სხვა აღარაფერი მჭამს. მივალ თუ არა სახლში, მაშინვე დაედგამ სკამებს და ვეცდები ისე გაეძვრე სკამებ ქვეშ, როგორც ჯამბაზების უნტროსი ძმა.

— ეგ რა არის ზუბატოვო, ეუპასუხე მე—საქმე ტაკ-მაი იყო. რა ფოკუსებს აკეთებდა!! ზოგიერთს კიდევაც მივხვდი, შემძლია აგისხნა კადეც, მაგრამ აი რა არის გასაკვირველი: უცებ მთლათ ცეცხლის ალში გაეხევეა, ცეცხლი უკიდია მის ტანისამოსს და ბოლოს თვალ-წინ გამოგუქიმება ისე იმ ახალ ტანისამოსში, თითქო ფანჩატურში იჯდა და საუზმეს შეექცეოდა.

— ყველა საკვირველია და აბა ერთ ღამეს რას გაევიგებთ! უნდა ერთხელ კიდევ წავიღე უთუოთ. შენა? დამეკითხა მე ზუბატოვი.

— უთუოთ წამოვალ, გადაჭრით ეუპასუხე მეც.

მეორე დღეს მე სხვა სალაპარაკო მასალა აღარა მქონდა-რა გიმნაზიაში, სულ ცირკის ამბებს ველაპარაკებოდი ამხანაგებს. ბერძნული ენის მასწავლებელმა პირველათ ზუბატოვს გამოუძახა, მაგრამ ზუბატოვი არ მოსულა.

სწავლის გათავების შემდეგ ზუბატოვთან გამოვიარე, რომ ბერძნულის გაქეორებაში დაენხარებოდი და აი რა ენახე: ოთახის შუა ადგილას გამართული იყო ჩაღის სკამების კოშკი და გაწითლებული, გაოფლიანებული, პერანგისამარა ზუბატოვი ხენეშოთ ცდილობდა სკამებ ქვეშ გაძვრენ-გამოძვრენით ასულიყო ზემოთ, უკანასკნელ სკამთან ისე, რომ არც ერთი სკამი არ გადმოეგდო და ამ ცდაში ისე რიგათ იმანჭებოდა, იგრინებოდა, აქყეტდა თვალებს, რომ იმის დანახვაზე ვეღარ მოვითმინე და გულიანათ ვადინხარხარე.

— ეგ ალბათ ბერძნული ენის გრამატიკაა—ეუთხარი სიცილით ზუბატოვს.

— თაფი დამანებე, თუ ღმერთი გწაჟს, რა გინდა ჩემგან? გაბრაზებით მეკითვებოდა ზუბატოვი და თან კიდევ ცდილობდა, რომ უკანასკნელ სკამ ქვეშაც გამძვრალიყო, მაგრამ ამ დროს შეინძრა ერთი ძირის სკამი, ჩამოინგრა მთელი კოშკი და ჩემი საცოდავი მეგობარი ისე აერია სკამებში, რომ ძლიერს გამოვარჩიე. ღეთის მადლით უბედურება არაფერი მომხდარა, მხოლოდ ზუბატოვს კეფა და წელი ცოტათი ეტყინა.

— მართლა ჯერ სხვაფერ უნდა მოვემზადო, რომ ამისთანა ძნელი საქმის შესრულება შეეძლო. ამბობდა შერცხენილი ზუბატოვი.

— შენ, ჩემო ძმაო, თუ ხშირათ დაიწყე მაგისთანა მეცადინეობა კეფიდან მთლათ გამოგეცლება რაც ტენი გაქვს და წელიდან ხომ გუფთა-ბოზბაში გაგიკეთდება. ეუპასუხე მე სიცილით.

— ცირკში ხომ წავალთ დღეს? დამეკითხა ზუბატოვი.

— წავალთ, მაგრამ ბერძნულს რას უპირებ? გაიმეორე რამე? დღეს პირველათვე შენ დავიძახა მასწავლებელმა. უეჭველია ხვალაც გკითხავს.

— აბა იმისი ჯაფრი მაქვს. მოვასწრებ გამეორებას. ერთი-კი ჩაეუჯღე გაკეთილს და მერე მე ვიცი.

— მაშ, ნახვამდის. საღამოზე ცირკში ხომ ენახავთ ერთმანეთს?

— უთუოთ.

საღამოს ორივე ცირკში ვიყავით. ახლა-კი მივხედი რომ ტაკმის თავისი ტანისამოსის ზევიდან მეორე ტანისამოსი ეცევა თხელი ქალღმერთისაგან შეკერილი, მივხედი რომ რაღაც წამლით იყო გაქონილი, სწორეთ ამიტომაც პრილობდა და ისე ადვილათ ეკიდებოდა ცეცხლი, მაგრამ რა წამლით იყო გაქონილი ამას ვერ ვიყავ მიმხედარი და ეს მაწუხებდა. ვერც ზუბატოვს გამოეცნო ეს. ან კი რა ჩემი ჯაფრი ჰქონდა, მთელი მისი ყურადღება ერთი ჯამბაზისკენ იყო, რომელიც თავისუფლათ დაბძანდებოდა ჰაერში გაბმულ წვრილ მათეთლებზე.

— ხვალ მოხვალ სკოლაში თუ არა? დამეკითხე ზუბატოვს, როდესაც ცირკი გათავდა.

— არა, ჩემო ძმაო, ერთი „ედინიცა“ მეყოფა.

— მაშ ახლა მათეთლებზე დაიწყე სიარული. სკამებ ქვეშ ძრომა ხომ ჯერ ცოტა ადრეა! — ეუთხარი მე ცოტა გაჯაფრებით და გვეშურე სახლისკენ. ზუბატოვს ხმა არ გაუცია ისე გამშორდა.

მეორე დღეს ზუბატოვი კიდევ არ მოვიდა გიმნაზიაში. ბერძნულ-

ლის მასწავლებელმა პირველათ ისევე ის გამოუძახა და, უთხრეს არ მოსულაო, გაცემით ვადმოგეხნდა და არაფერი უთქვამს. სწავლის გათავების შემდეგ მამაჩემმა გამოძიარა და წამოიყვანა სახლში, ისე რომ ზუბატოვი აღარ მინახავს. იმევე სალამოს ცირკშიაც აღარ გამიშვეს დედ-მამამ, ძრიელ გატაცებული ხარ მაგ ცირკით და გეშინიან სწავლაზე გული არ აიკრუეო.

მეორე დღეს, კვირა დილას, ერთი ჩემი ამხანაგი შემოვიდა ჩემთან და იმან მითხრა, რომ ზუბატოვი ენახე და ხელში ბლომით მათულები ეჭიროა.

ადელი მასახვედრი იყო ჩემთვის, რისთვისაც ეყიდნა ზუბატოვს მათულები და როგორც ჩემი ამხანაგი გავისტუმრე მაშინვე გავექანე ზუბატოვთან.

— რატომ წუხელის ცირკში არ იყავი? დამეკითხა ზუბატოვი, როგორც-კი დამინახა.

— დედ-მამამ არ გამომიშვეს.

— აი, შე უხეირო. მერე რა კარგები იყვენ წუხელის ყველა! ერთი ჯამბაზი, კაცო, რეზანი, კაცათ გაკეთდა: თავს, ფეხებს, ხელებს ისე ატრიალებდა აქეთ-იქით, გვერდზე რომ წარმოდგენა არ შეგიძლიან. მე ვცდილობ ისევე ვიტრიალო და იმედი მაქვს, რომ ამას-კი ოვანერხებ. აბა მიყურე! და აქ ჩემმა მეგობარმა დაიწყო უცნაურათ წყევტება თავისა და ფეხებისა აქეთ-იქით, ბოლოს დამეკითხა:

— აბა რა გამოდის?

— რამე-კი გამოდის, მხოლოდ გასაკვირველი-კი არაფერი, ეუპასუხე მე—შენ ეს მითხარი ტაკ-მაი რას აკეთებდა?

— ღმერთმანი ძალიან ეწუხდი, რომ შენ წუხელის არ იყავი. წარმოიდგინე, ტაკ-მაი უშველებელ ხმლებს პურის ლუკმასაებ ყლაპავდა! მე ჩემ დღეში არ მენახა ხმლების ყლაპვა და ძალიან შემეწონატრა ჩემი მეგობრის ბედი, რომელსაც არაფერ უშლიდა ცირკში წასვლას, მართლაც ზუბატოვს ყველაფრის ნება ჰქონდა. იმის მდი-



ქართული
ლიტერატურის
ისტორია

დარ დედას ამ ერთი შეილის მეტი არა ჰყავდა და ყოველ მის სურვილს დაუყოვნებლივ ასრულებდა.

— თუ ღმერთი გწამს, ზუბატოვო, მითხარი—რათ გინდოდა იმდენი მავთულები რომ გიყიდნია? დავეკითხე ცოტა ფიქრს შემდეგ ზუბატოვს.

— რა მავთულები? თითქოს გაცეხით დამეკითხა ზუბატოვი.

— ის მავთულები, რომლებიც დღეს შენ გიყიდნია.

— შენ რა იცი, რომ მე მავთულები ვიყიდე?

— დილას ჩვენ ამხანაგს დაენახე ხელში მავთულებით.

— აი დაიწყებლოს იმისი თვალები. კარგი გეტყვი: იმიტომ მინდა, რომ მაზე სიარული უნდა ვისწავლო.

— მერე სად გააბამ მავთულებს? დავეკითხე ცნობის მოყვარეობით.

— ჩვენ ბაღში.. იქ კარგი ადგილია. აქეთ-იქით ხეებზე გავაბამ მავთულს და თუ ვინცოცაა ჩამოვარდი, ძირს რბილი ბალახია და ისე საშიში აღარ იქნება, რბილათ დავეცემი.

— თუ ძმა ხარ, ზუბატოვო, შემატყობინე, როდესაც გამართო, ძალიან მინდა დაგიხანო, მავთულიდან ყირამალა რომ გადმოვარდები და კისერს მოიტეხ. გეთაყვა დამიძახე, შევეხებეწე ზუბატოვს.

— შენ მაგაზე ნუ სწუხარ, მე კისერს არ მოვიტეხ. ჯერ ერთი არშინის სიმალლეზე გავაბამ და ისე შევეჩვევი, მერე თან-და-თან მალლა ავწე. ეგ კი არა, იცი რა გითხრა! ხომ შევიტყე ცირკის მოთამაშეების ამბები: როგორ სწავლობენ, რას აკეთებენ. წუხელის ცირკის ერთი მასხარა გავიცანი, ლიმონადი დავალევირე და იმან სულ ყველაფერი დაწერილებით მიაგმო. ძალიან კარგია თურმე იქ ცხოვრება! მთელ დღეს რომ იპროწილო გიმნასტიკაზე არაეინ დავიშლის. განა ისე-კი არ ყოფილა, როგორც გიმნაზიაშია, დანიშნულ საათს იქით რომ ახლოს არ მიგაკარებენ. ერთის სიტყვით სიცოცხლეა ცირკში ყოფნა. ვერ ატყობ რა მხიარულათ არიან ყველა მასხარაები, ცხენზე მოთამაშეები, ჯაშბაზები? როდესაც კი გამოდიან სულ იცინიან

ხოლმე, ცხენებიც კი მხიარულათ არიან. თავი და თავი ის არის, რომ იქ არ ასწავლიან არც ბერძნულს, არც ლათინურს, ოხ რა მე-ჯავრება ბერძნულისა და ლათინურის გახსენება.

— ყოჩაღ ზუბატოვო, ცირკის მასხარაც გავიცენია. მგონია მალე შენ ჯამბაზათ შეხვალ. შეენიშნე მე სიცილით.

— მე დიდის სიამოვნებით წავიდოდი, იქ ყოფნა უფრო სასიხარულოა ვიდრე ყოველ დღე გიმნაზიაში ბერძნულით თავის გახეთქა, მაგრამ რა ეუყო რომ დედა ნებას არ მაძლევს, მწუხარებით მომიგო ზუბატოვმა.

— ზუბატოვო, მოდი მეც გამაცან შენი მასხარა, შეეცხეწე ზუბატოვს.

— თუ გინდა გავაცნობ, მაგრამ ვაი თუ შენც ის ხათაბალა დაგემართოს, როგორც მე.

— როგორ თუ ხათაბალა?

— აი როგორ: ჩემ მასხარასთან რომ გაბმულ მუსაიდფში ვარ და ლიმონადს შეეექცევიტ, უცებ ჩენი ინსპექტორი-კი გამომეცნადა თვალ-წინ! დამიძახა და მკითხა: „ავათ აღარა ბრძანდებით ყმაწვილო?“ მე ეუბასუხე: „აღარა-მეთქი“. — „ეგ მასხარა, რომელთანაც თქვენ ქვიფს ეწევიტ, დედა თქვენის ნაცნობია?“ მე ეუბასუხე — არა მეთქი. მაშინ-კი გადაჭრით მიბძანა: „გადაეციტ დედათქვენს მობძანდეს ჩემთან გიმნაზიაში, საჭირო საქმე მაქვსო“ და უცებ გაბრუნდა. ახლა არ ვიცი რა იქნება. მეტი ღონე არ არის ხვალ უნდა წავიდე გიმნაზიაში.

— ვაი, ძმობილო, შენი საქმე ცუდათ არის. გაკვეთილი მაინც ისწავლე?

— აი შეხედე წიგნს, დილას აქეთია ათასჯერ ამიღია, მაგრამ რა-ექნა რომ თავში არაფერი შედის. ამ ცოტახანში მეტათ ბევრს მოვცდი და აღარც ძველი მახსოვს.

— თუ გინდა გიშველი და ერთათ მოვამხადლოთ. ზუბატოვმა ამაზე ცივი უარი მითხრა.



ქართული
ლიტერატურის
მეცნიერებათა
ინსტიტუტი

— მე თითონ მოვამზადებ. ახლა შენ წადი და მე გაკვეთილს მიეუჯღები. მე მაშინვე გამოვედი, მაგრამ ჩემს მეგობარს, როგორც მე არც დღეს მითხრა, გაკვეთილისთვის არ მოუტოლია.

ორშაბათს ზუბატოვი მოვიდა გიმნაზიაში კარგა ლაზათიანათ გასიებული ცხერით და შუბლზე ტყავ გადაგლეჯილი. ადვილი წარმოსადგენი იყო თუ როგორ ესწავლა გაკვეთილი და ან როგორ შეესწავლა მავთულებზე სიარულიც. მე კოტა გულის მამივიდა და აღარაფერი მიკითხვამს ზუბატოვისთვის. როდესაც ბერძნულის მასწავლებელმა გაკვეთილის გამოკითხვა დაუწყო, არამც თუ ახალი — ძველისაც აღარა ახსოვდა-რა.

— დაჯექით. კიდევ დაგაცდით, იქნება კკუაზე მოხვიდეთ. უთხრა დაცინვით ბერძენმა და ზუბატოვის პირველ „ედინიკასთან“ მეორეც ჩამოუსვა.

დასვენების დროს ზუბატოვი დირექტორთან წაიყვანეს, რომელსაც, ახალი ნიშან დასმული ჟურნალით ხელში ბერძენიც უკან მისდევდა.

— უთუოთ დედაჩემი მოვიდოდა, მითხრა წასვლის დროს ზუბატოვმა და თან-ჩაღუნულმა გასწია დირექტორის ოთახისკენ.

როდესაც გამოვიდა მოვეხებით ამხანაგები და დაეუწყეთ გამოკითხვა.

— დიდი არაფერი, — გვითხრა ეითომ გულ-გრილათ ზუბატოვმა. ნამდვილათ-კი აი რაში იყო საქმე: როდესაც სწავლა გათავდა ზუბატოვი სადღაც გაჰქრა. მე გაეჩერდი კარებთან და დაეუწყე ცდა, მაგრამ ზედამხედველმა მითხრა: წაბძანდი ყმაწვილო თორემ დიდ ხანს მოგიხდება ცდა, ზუბატოვი „კარცერში“ ბძანდებაო.

მე არც დღეს ის გიმნაზიაში არ მოხსულა. საღამოს, გაკვეთილები რომ მოვამზადე გაეიქეცი ზუბატოვთან, მაგრამ ის შინ არ იყო, ცირკში წასულიყო. დედამისი დამხედა სახლში და შემხებეწა, ეგება რამე ჩააგონო ჩემ მითხრს, თორემ ცუდათ არის მისი საქმეო. გიმ-

ნაზიში ეთქვით, თუ ერთხელ კიდევ ენახეთ ცირკში და ან მასხარაში თან მაშინვე გამოვირცხებით.

— რა ექნა, დღეს მე თითონ არ გავუშვი სკოლაში, ამობდა საწყალი დედა — ვაი თუ ავით გაზღეს — გუშინ გადაუწყვეტიათ, რომ ათ საათს უნდა იჯდეს კარცერში; გუშინ ხუთ საათს იჯდა და დღეს რომ წასულიყო კიდევ ხუთ საათს დაანწყევლევდნ და ვაი თუ ავით გამხდარიყო.

მე როგორც-კი შემეძლო ვარწმუნებდი, უეჭველათ ვეცდები მის კაი გზაზე დაყენებას-მეთქი.

მეორე დღეს ზუბატოვს შეეხედი თუ არა გიშნაზიში დაეუწყე ყველრება და დაწერილებით ელაპარაკე გუშინდელი მისი დედის ნალაპარაკევი, — აი დღესაც საწვადის მაგიერ „კრენდილს“ მიიღებ, — დაეუმატე მე — ხომ არ იცი გაკეთილი, სწორე თქვი?

— შენი საქმე არ არის, ბერს ნუ მიეღ-მიეღებდი, არ მინდა და არ ვისწავლი. გეუბნები მე ჯამბაზათ უნდა შევიდე, გესმის თუ არა! დამიყვირა ზუბატოვმა.

— უფალო ზუბატოვო, წამობძანდით კარცერში — დაიქუხა სკოლის მეთვალყურემ და ეს ისე მეცა გულზე, რომ სრულიად დამაეიწყა თუ ზუბატომა ისე უსამართლოთ გამლანძღა; საჩქაროთ ვეცი ჩემს საცოდავ ამხანაგს და გამოსათხოურათ გადავკოცნე.

იმ საღამოს მთელი ჩენი ოჯახობა ცირკში წავიდა და ძველ თან წამიყვანეს. მე მოუსვენრათ აქეთ-იქით ვიცქირებოდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ კარცერში ჯდომის შემდეგ დედა უეჭველათ გამოგზავნიდა ზუბატოვს ცირკში და მინდოდა დამენახა. მართლაც მალე შეენიშნე ქანდარაზე ზუბატოვის თავი. ის ძალიან ცდილობდა, რომ არაეის შეენიშნა და ხელმეორეთ ინსპექტორს არ ჩავარდნოდა ხელში. ზუბატოვმაც შემნიშნა და დამიძახა, რომ მიესულიყავ მასთან. — რა ქენი იჯექი? დავეკითხე მე.

— ეჰ, ვიჯექი! სისულელეა სხვა არაფერი. ეგ-კი არა შენიშნე ის პატარა ქალი? ბიჭო, რა მშენიერათ აყეთებდა ცხენზე მალაყებს!



იმისი სახელიც ვისწავლე, რცი იმას რა ჰქვიათ?—მერი. ოხ რა მხედრობის იმისი ცხოვრება, რა მხიარულია, რა ბედნიერია! არა, მე უეჭველათ შევალ ცირკში ჯამბაზათ.

— დედა-შენი? დავეკითხე მე.

— დედა-ჩემი კეთილი გულის ქალია, პირველათ გაჯაფრდება, მაგრამ მალე მოიბრუნებს გულს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესანიშნავი მოთამაშე შევიქნები.

— მეთულებსა რა ქენ? კიდევ დადიხარ? დავეკითხე ზუბატოვს.

— არაუფერი არ გამოდის! გუშინაც ვადმოფარდი და მუხლი ვიტკინე, ჩვენი მეჯინიბე რაღაც უღონოა, მაგრათ ვერ ვააბა მეთული. დედასაც ეშინიან და ამიტომ თავს ეანებებ მეთულებს.


— მართლა, მე არ მითქვამს შენტვის?—ხომ მიეხვდი ტა-კაი როგორ იკიდებს ტანისამოსზე ცეცხლს?

— მართლა?

— მაშ! ხვალ მოდი ჩვენთან, ხომ უქმეა ხვალ და მე და შენ ვცადოთ ტანისამოსზე ცეცხლის მოკიდება.

— კარგი მოვალ. ახლა-კი ნახვამდის. ვაი იწყობენ, წაილაპარაკა ზუბატოვმა და ორივე საჩქაროთ გაექანეთ ჩვენი ადგილებისკენ.

გამოვიდა ის პატარა ქალი, რომლის ბედსაც ისე შენატროდა ზუბატოვი და დაიწყო ცხენზე კონწიალია. მე პირველათვე შემეცო-



და საწყალი პატარა და არა მჯეროდა ზუბატოვის სიტყვები, მხიარულია, ბედნიერიაო, მინდოდა სხვისი აზრიც გამეგო და ამიტომ მიემართე მამა ჩემს:

— ალბათ ძალიან ბედნიერი ცხოვრება აქვს, მაგ პატარა ქალს, არა მამა ჩემო?

— დიდი არაფერი, ჩემო კარგო, მიბასუხა

მამამ. — მაგათი ლუკმა სამწრისაა, შეილო, ხშირათ ძალიან უსამართლოთ უჯაერდებიან, სცემენ კიდევ მაგისთანა პატარა ბავშვებს.

მეორე დღეს ზუბატოვი მოვიდა ჩემთან.

— დიდხანს ვფიქრობდი იმაზე თუ რას უსვამს თავის პაპიროსის ქალაღდის ტანისამოსს ტაკ-მაი და ბოლოს მივხვდი— ეუთხარი მე ზუბატოვს შემოსვლისათანავე.

— განა იმისი ტანისამოსი პაპიროსის ქალაღდისაა?

— დიახ, და იცი რას უსვამს? ზეთსა.

— სტყუი!

— ღმერთმანი. რამდენჯერმე ვცადე და კარგათ გამოღდის. აბა მე და შენ ვცაღათ ახლა.

მე გაღმოვიღე განჯინიღან პაპიროსის ქალაღდისაგან შეკერილი ხაღათი, რომელსაც დიღდის გაჭირვებით ღამ-ღამე ვკერავეღი, რომ არაღდის დავშაღა. ზეთაც მამას ჩუმათ გაღდელს გაღმოვართვი, წაღდებისთღდის მიღდა-მეთქი.

— მე ჩაღცივამ ხაღათს, შევეღგები სკამზე და შენ ცეცხლი მამიკიღე, ეუთხარი მე.

— მერე, არ დავწვი? დამეკითხა ზუბატოვი.

— რას ამბობ! დავიწვი-კი არ და. აბა მოუკიღე.

გაჭკრა წუმწუმა თუ არა, აპრიაღდა ჩემი თიღისმის ხაღათი და ერთ წამს აღში ვიყავი გახვეული. ბოღოს დიღი აღი ჩაქრა, მაგრამ პატარა-პატარა ნაქრები მიჭკროღა ჩემს გიღნაზიღის ტანისამოსს და მაუღდაც აკი მოვეკიღა! ბოღოს აღაგ აღაგ ხორციც დამეწვა, მაშინ კი ვიგრძენ, რომ სახუმროთ არ იყო საქმე; გაღმოვხტი ძირს და შევექენ ყვირიღი:

— ჩქარა გააქრე, ჩქარა!

ზუბატოვი დავაკურღა, ხან ხეღღები მომიჭირა, ხან სუღი მიბერა, მერე შენაღშნა მაკიღაზე დიღი სამეღნე და მეღანი გაღმასხა ზეღ, შკაფში ჭიკით რძე იღგა და იმასაც მიმართა და ბოღოს, რომ ვეღარა გააწყო-რა, გაღმომაფარა საბანი, წაშაქცია, დამაჯღა ზევიღან



და დამიწყო საბანში თუთენა, ისე რომ მართალია ცეცხლი-უგვი
გამქრალი იყო, მაგრამ ზუბატოვი მაინც არ მიშვებდა საბნიდან.

— კარგია, აღარ მიკიდიო, თავი დამანებე, ეყიროლა მე, მაგრამ
ზუბატოვს არა ესმოდა—რა ისე გაიტაცა ცეცხლის ქრობამ, ასე რომ
მე ახლა ცეცხლის მაგიერ ზუბატოვთან დამქირდა ბრძოლა და ორიოდ-
ჯერ ლაზათიანათაც კადაეგორ-გადმოეგორდით ორივე საბანში გახ-
ვეულები.

— „სულელი მოკეთე მტერზე უარესია“ — წაეილაპარაკე მე,
როდესაც გაქირვებით გამოვეცალე ხელიდან ზუბატოვს—კაცო შენ
კინალამ ჩემი ძვალი და რბილი ერთმანეთში აურიე!

— შენი ძვალი და რბილი თავთავის ალაგას არის, მაგრამ შენ
შენ კანს უგდე ყური. ნახე რა მოგსელია!

მართლა ჩემი გიმნაზიის სერთუკი სულ გამფუჭებოდა, ორგან
დამწვოდა, დანარჩენი მელანსა და რძეს სულ ერთიანათ გაეფუჭე-
ბინა. ძალიან მაწუხებდა დამწვარი ხორცი, მაგრამ ეცდილობდი არ
შემემჩნია და ლაჩრათ არ ვჩვენებოდი ამხანაგს. იმან მაინც შემატყო,
რომ ვიტანჯებოდი.

— ჩემო თვალთმაქცო ძმობილო, თუ ტაკ-მაი ყოველ დღე
ანგრე იხრაკება ცეცხლში უეჭველია დიდხანს ვერ იცოცხლებს!

— ძალიან ხუმრობის ქეიფზე ხარ, მაგრამ შენ რომ ახლა მავ-
თულებზე დადიოდე ის უმჯობესი იქნება—ეუპასუხე მე გაბრაზებით.

— რა გგონია, მართალია ორჯელ ცხვირი გაეიტენე, მაგრამ
მაინც ე-სწავლი; რაც უნდა დამემართოს, უთუოთ წაეალ ჯამბაზათ.
იცი რა? მოდი შენ თვალთმაქცობა ისწავლე, მე ჯამბაზობას და ერ-
თათ ვიაროთ.

— ძალიან საჭიროა იმათმა მზემ. შენ ასე გგონია მართლა კარ-
გი ცხოვრება ჰქონდეთ იმათ. აბა მამაჩემს გაუგონე, თურმე მაგათ
ხან-და-ხან კარგათაც მიტყუებენ ხოლმე!

— ვისა?

— ვისა და ყველას, აი თუნდა შენ მერისაც.

ქართული
ლიტერატურის

— მერის ეინა სცემს? შეჰყვირა ზუბატოვმა და წამოხტა ზეზე.

— ცირკში სცემენ -- ცირკის ღირექტორი.

— ეგ შეუძლებელია! განა მ.მაშენმა თავის თვალთ ნახა?

— მამაჩემი რომ ამბობს ალბათ იცის, მე თითონ დაგინახე გუ-
შინ: მერიმ ვერ გააკეთა მაღაყი ისე როგორც წესი იყო და ღი-
რექტორმა ისეთი მაგრათ დაჰკრა მათრახი, რომ საწყალი ქალი და-
იღრიჯა.

— სტყუი მაგას! ეგ სისულელია!

— გინდა დაიჯერე გინდა ნუ, მე-კი ენახე და!

— არათფერი არ დაგინახავს.

— არა, ნამდვილათ ენახე!

— არ ენახამს-მეთქი.

— ეჰ, დამეკარგე იქით, შეეყვირე მე.

— მაინც წავალ. მშვიდობით! მომადახა ზუბატოვმა, აიღო ქუ-
დი და გაეარდა გარეთ,

მე არე დღეს ზუბატოვი მოვიდა გიმნაზიაში, კიდევ გამაუძახა
ბერძენმა, დაასაჩუქრა ისევ „სამწვადით“ და გამოისტუმრა სახლში.
ბერძენს გარდა რუსულის და გეოგრაფიის მასწავლებლებზეც ორ
ორით დააჯილდოვეს ჩემი საცოდავი ბეგობარი.

— სულ ერთია ჩემთვის, მეუბნებოდა ზუბატოვი, როდესაც
გიმნაზიიდან გამოვდიოდით — რაც უნდათ ის დამისენ, მე მაინც აქ
არ დავდგები; ერთხელ ვთქვი და უეჭველათ უნდა წავიდე ჯამბაზათ.
იცო რა გითხრა, მოდი ახლა ცირკში წავიდეთ, ახლა იქ რეპეტი-
ცია და ეუყუროთ.

— კაცო, რას ამბობ? ეინ შეგვიშეგებს ჩვენ იქ — ეუპასუხე მე.

— იქ ისეთი ჯუჯრულანებია, რომ ქუჩიდანაც შეიძლება ეუ-
ყუროთ, წამოდი, მე ეიცი მოხერხებული ადგილი.

მე დავეთანხმე და წავედით. მართალი იმ დროს, როცა ჩვენ
იქ მივედით გაჩქარებული რეპეტიცია იყო, ეიპოვეთ კარგა შოზდი-
ლი ჯუჯრულტანა და დაეუწყეთ ცქერა. პატარა გოგონა მერი აკე-



თებდა ათასწიერ მალაყებს, გვერდით ცირკის უფროსი იდგა მათრა-



ხით ხელში და საშინე-
ლი მოღუშული სახით
გაართყავედა ხოლმე მათ-
რახს, საწყალ ბავშვს, რო-
ცა-კი იმას მალაყი კარ-
გათ არ მოუყვიდოდა. სა-
ცოდავი ბავშვი საშინლათ
იგრინებოდა სიმწარისა-
გან.

— ხედავ მაგას?! ვუ-
ჩურჩულე მე ზუბატოვს.

— არაფერს ვხედავ სა-

კვირველს— მიპასუხა იმან ბუზღუნით. სწორეთ ამ დროს ერთი და-
უშტენა დირექტორმა და მისმა მათრახმა გაიტლაშუნა მერის ბე-
ჭებზე.

— გაიმეორე! დაიყვირა დირექტორმა— გაიმეორე ახლავე!

საბრალო გოგონამ დაატანა თავს ძალა, წაიგრძელა კისერი,
ერთი გადატრიალდა და გაჩერდა.

— კიდევ გაიმეორე, შეჰყვირა დირექტორმა და გაისმა ისევ
შოლტის ტკაცუნა.

— უსეინდისო, მხეცო, ლორო! შეჰყვირა ზუბატოვმა და რაც
ძალი და ღონე ჰქონდა აბრაზუნებდა ცირკის კედელზე, აბრაზუნებდა
ხელებით, ფეხებით. რასაკვირველია, მეც გულით ვეხმარებოდი ამა-
ში და ისეთი ხმაურობა აეტყნეთ, რომ რეპეტიციას თავი დაანებეს,
გაიღო კარი და გამოვიდა თითონ ცირკის დირექტორი.

— რა გაყვირებთ? რა გინდათ? გვეკითხებოდა ის გაოცებული.

— თქვენ რა ნება გაქეთ, რომ მერის სცემთ? გეუბნებით ნება
არა გაქეთ-მეთქი! ამის მეტათ აღარ ვაბედლოთ! ყვიროდა გამწარებუ-
ლი ზუბატოვი.

— რა თქვით, თქვენ ვინა ხართ? კითხულობდა გაოცებით ღირექტორი.

— აღარ გაბედოთ მერის ცემა, აღარ! ცყვიროდით ჩვენ ორივე.

— რა თქვენი საქმეა! მინდა და ვეცემ! თქვენ რა გინდათ?

— აღარ გაბედო, აღარ, შე უსვინდისო! შეპყვირა ზუბატოვმა და გაექანა ცირკში შესასვლელათ.

— გაეთრიე აქედან! დაიღრილა ცირკის ღირექტორმა, ჰკრა ხელი ზუბატოვს და მოჰკეტა ცირკის კარები.

ჩვენ ბევრი ვაბრაზუნეთ კარები, მაგრამ ყური აღარავენ გვიგლო და შერცხვენილები, გაბრაზებულები წამოვედით შინისკენ. ერთის სიტყვით ისე მოედლიოდით სახლში, როგორც ომში დამარცხებული ჯარის კაცები. ლაპარაკსაც-კი ვეღარ ვახერხებდით.

— უსვინდისო, მხეცი! ყვიროდა ზუბატოვი.

— ღმერთო ჩემო! დაფიჯერო ახლაც კიდევაც სცემს იმ საცოდაეს?! თვალ-ცრემლიანი ვკითხულობდი მე, მაგრამ პასუხს ვინ მომცემდა.

გაეშორდით მე და ზუბატოვი ერთმანეთს და მთელ ერთ კვირას არც ერთი აღარ წაესულვართ გიმნაზიაში. ისე იმოქმედა ჩვენზე იმ სცენამ, რომ სრულიად ხალისი დაიკარგა, არამც თუ სწავლისა ჭამა-სმის და ლაპარაკისაც. ზუბატოვი, როგორც-კი მისულიყო სახლში მაშინვე სულ დაენტერია რაც რამ საჯამბაზოთ ნაყიდი იარაღი ჰქონდა, დაეწყვიტა ბაღში გაბმული მათულები და მკედარივით დაგდებულიყო ლოგინზე, ამ დღეს არც სადილი უჭამია; მეორე დღეს მიჰყო ხელი ბერძნულს და დღე და ღამე სწავლობდა.

როდესაც მოვიდა ზუბატოვი გიმნაზიაში პირველ გაკვეთილზედვე მიმართა ბერძნულის მასწავლებელს შემდეგი სიტყვებით:

— გთხოვთ მკითხოთ მთელი გაკვეთილები ბერძნულისა.

— ორჯელ გკითხე და მგონი ესეც მეტი იყო, — უპასუხა ბერძენმა.

— არა, მასწავლებელო, მაშინ თუ მეტი იყო ახლა საქიროა, მე გთხოვთ ახლა უთუოთ მკითხოთ, ეხეწებოდა ზუბატოვი.



— მე უკვე ორი „ედინიცა“ დაგისვით ბერძნულში და შესამე ხომ არ გინდათ?

— ნურაფერს ნუ დამისვამთ ოღონდ მკითხეთ.

მასწავლებელმა გაოცებით შეხედა და რომ დარწმუნდა მის გულწრფელობაში უთხრა:

— კარგი... მხოლოდ ამ მეოთხედში იცოდე მაინც ერთი გვეჩება. დაუწყო გამოკითხვა და წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, ზუბატოვმა ყველაფერი სამაგალითოთ იცოდა. მასწავლებელი გაოცებული ეკითხებოდა ზუბატოვს:

— რა იყო, მაშინ განგებ არ მიპასუხეთ, როცა მე გკითხეთ?

— არა ბატონო, განგებ-კი არა, ჯამბაზათ მინდოდა წასვლა. ამ სიტყვაზე მთელ კლასში ყველას სიცილი აუტყდა, გაეცინა ბერძნულის მასწავლებელსაც და ამ სიცილმა გადასწყვიტა იმ ორი „ედინიცის“ ბედი, რომლებიც ზუბატოვს ჰყავდა; ორივე წაშალეს და რადგან ამდენი ერთის შერე უტეხ ოთხის მიღება არ შეიძლებოდა დაუსვებს სამი.

ამ დღეს მე და ზუბატოვი მხიარულათ მივდიოდით სახლში.

— ღმერთმანი კარგი კაცია ბერძნულის მასწავლებელი, ამბობდა ზუბატოვი.

— დიანაც რომ კარგი კაცია: აბა სხვა იზამდა მაგას, რომ მე-სამეთ ეკითხა, როდესაც შენ იმის საკანში ორი „ედინიცა“ გყავდა?

— იცი, ცირკი ხომ წასულა, დალონებით მითხრა ზუბატოვმა.

— რა ეუყოთ წაეიდეს-რა!

— ჯანაბას წაეიდეს, მაგაზე-კი არ ვამბობ, ის საწყალი გოგო მეცოდება.

— ოჰ, მართლა რომ საცოდავია, საწყალი ბავში, ეუპასუხე მე. ორივეს ცხადათ წარმოგვიდგა ცირკის დირექტორისაგან იმ ბავშვის ცემა, რომელმაც მეც და ჩემს ამხანაგსაც სამუდამოთ შეგვაძულა ცირკიც და მასში მოსამსახურეთა ცხოვრებაც.

ქვის საუკუნის ბავშვები.

თარგმ. ნი.

V II

ახსლავგდა მონადირეების მოხილე.



აშინდელი მარტო-რქა ახლანდელზე ბევრათ უფრო დიდი იყო და მთელი ტანი, სქელი და გრძელი ბალნით ჰქონდა შემოსილი. იმისი მაშინდელ უზარ-მაზარ მხეცებსაც-კი ეწინოდათ. მამონტი ხანდახან გზას დაუთმობდა ხოლმე და კლდის ვეფხვიც-კი, ყველა მხეცებზე ბრაზიანი, მოზრდილ მარტო-რქასთან შეტაკებას ვერ ბედავდა, ვეფხვის ბრჭყალებიც-კი ვერაფერს აკლებდნენ მის სქელ ტყავს. სრულიად საკმარისი იყო თავისი დიდი თავი—რქით ცხვირზე შეიარაღებული, გაქვია, რომ იქვე უზარ-მაზარი მხეცი მოეკლა.

დედალი მარტო-რქა მოვარდა იმ ხესთან, საცა ბავშვები ისხდნენ, ორმოსთან შორი-ახლოს შედგა, ბოლოს მოტრიალდა და თავის დამწყვდეულ შვილს დაუწყო ვარშემო ტრიალი. დაბინდდა. დედა მარტო-რქა ჭაობისკენ წავიდა. ბავშვებმა კარგა ხანს კიდევ იტადნეს და როდესაც დარწმუნდნენ, რომ მარტო-რქა დასასვენებლათ წავიდა



და შიში აღარ არისო, ხიდან ჩამოვიდენ, ფეხ-აკრეფით მანძილი გაიარეს და შემდეგ გაიქცენ სახლში. ახლა-კი უნდა შეეტყობინებინათ უფროსებისთვის თავიანთი გაქირვების ამბავი და იმათთვის დახმარება ეთხოვნათ. ერთ საათში ელა და მუხა თავთავისი მამებით, შეიარაღებული, დაბრუნდენ ორმოსთან—საცა პატარა მარტო-რქა იყო დამწყვედელი.

ჯერ გორაკიდან დათვალიერეს იქაურობა და როცა დარწმუნდენ, რომ სრული მშვიდობა იყო მოინდომეს პატარა მარტო-რქის მოკლა. ისინი ფიქრობდენ: როცა დედა მარტო-რქა დარწმუნდება, რომ მისი შვილი მკედარია დაანებებს თავსო. შემდეგ მოვალთ და ორმოდან მკედარ მარტო-რქას ამოვიღებთ და ჩამდენიმე დღის განმელობაში მშვენიერი საქმელი ხორცი გვექნებაო.

უბედურება ის იყო, რომ ქარი იქითკენ მიჰქროდა, საცა დედა მარტო-რქა წაეიდა და იმათ მოახლოებას ადვილათ გაიგებდა, მაშინდელ მხეცებს ძალიან კარგად ყნოსვა ჰქონდათ. მაინც მონადირეებმა არ დაიშალეს და თავისი გადაწყვეტილების შესასრულებლათ ოთხივე წელა, ფახ-აკრებით გორაკიდან ჩამოვიდენ და ვაკეზე გავიდენ. ისე ფრთხილათ მიდიოდენ, რომ პირუტყვის იმათი ფენის ხმა არ ესმოდა, მაგრამ სუნით-კი გრძნობდა იმათ მოახლოებას, მართლაც ნახევარი ვაკის გაელა ვერ მოასწრეს, რომ დედა მარტო-რქა წამოვარდა და გაექანა იმათკენ, მონადირეებმა ძლიერ ხეებზე თავის შეფარება მოასწრეს. როდესაც ისინი ველარ დაინახა დედა მარტო-რქა მიუბრუნდა თავის შვილს, დაუწყო გარშემო ტრიალი და უნდოდა როგორმე გამოეხსნა ტყვეობიდან, მაგრამ ამაოთ. სრული სიბნელე ჩამოვარდა. მონადირეები ძალიან ფრთხილათ იყვნენ. იმათ შეეძლოთ მეორე მხრივ მისულიყვენ თავიანთ მანერპლთან, ისე რომ დედა მარტო-რქა ვერ გაიგებდა, მაგრამ სიბნელისა ეშინოდათ. ამისთანა სიბნელეში—ვაკე ადგილას, ხეებს რომ მოშორებოდენ ძალიან საშიში იყო. მაინც გაბედეს წასელა. გორაკს შემოუარეს მეორე მხრივ და მდინარის პირათ ჩამოვიდენ, თან აქეთ-იქით ათვალიერებდენ. უცბათ

კალ-ყურამ ხელის დაქნევით შეაჩერა მონადირეები და მიუთითა მინდერისაკენ.

ორმოდან ორმოც-და-ათ ნაბიჯზე მალალი ბალახი იდნავ ინძრეოდა: რალაც უხარ-მაზარი მხეცი ორმოსკენ მიდიოდა, ყველა სულგანაბული ყურს უგდებდა, უნდოდით ეცნოთ რა მხეცი იყო. სრული სიბნელე იყო, მაგრამ მღვამეს ადამიანი სიბნელეშიაც კარგათ ხედავდა. დანახეს რომ რალაც მუქი ფერის პირუტყვი გამოდიოდა ლერწმებიდან და ორმოსკენ მიდიოდა, ის თანდათან ორმოში დამწყვდეულს უახლოვდებოდა. ერთ წამს აღარათფერი მოძრაობა აღარ იყო. საშინელი და შესაზარი ყვირილი მოისმა, ისეთი რომ მონადირეებსაც-კი, რომელნიც ყოველწაირ ხმაურობას იყვენ შეჩვეული, ტანში შეაზრიალა. რამდენიმე წუთს და ჰაერში შევით რალამაც ისკუბა და საცოდავ ტყვეს ზურგზე დაეცა, ეს იყო კლდის ვეფხეი. ამ საშინელ ღრიალზე უშველემელი პირუტყვი ჭაობიდან წამოდგა და უშიშრათ გაქანდა ვეფხვისკენ. რალაც გამოურკვეველი ხმაურობა ისმოდა, მოჩანდა ორი დიდი მხეცის მოძრაობა, სასტიკი ბრძოლა ორი უღონიერესი პირუტყვისა, რომლის სიახლოვე ადამიანისთვის ძალიან საშიში იყო. სრული სიბნელე გამეფდა. მონადირეებმა ამით ისარგებლეს და სახლში გაიქცენ.

მეორე დილას მონადირეები ისევ დაბრუნდნენ ორმოსკენ და ვერც ერთმა იქითკენ წასვლა ვეღარ ვახედეს, საცა ამ რამდენისამე საათის წინეთ ორი დიდი მხეცი იბრძოდა. ისინი დიდის სიფრთხილით მიუახლოვდნენ ორმოს და ნახვერათ შექმული მარტო-რქა დახედათ. ის უთუოთ ვეფხემა მოჰკლა. დედის გამოსარჩლებამაც ვერათფერი უშველა საწყალს. როგორც ეტყობოდა დედის და ვეფხვის შუა სასტიკი ბრძოლა მომხდარიყო და რა-კი ერთმანეთისათვის ვერათფერა დაეკლოთ გაშორებულნიყვენ. უეჭველია დედა მარტო-რქა რაკი დანახავდა, რომ შეილი მკვდარია მოშორდებოდა იმ ადგილს. ვეფხეიც ხორცს დამშვიდებით მიადლებოდა. ხორცი მანც ბლომათ იყო დარჩენილი და მონადირეებმა დიდრონ-დიდრონი საუკეთესო



ნაკრები ამოსჭრეს, მაგრამ ბევრის წაღება ვერ მოახერხეს, რადგან ვეფხვის დაბრუნებისა ეწინოდათ და ისევ ფრთხილათ ტყე-ტყე სახლში დაბრუნდნენ.

ასე გათავდა ჩენი მამაცი ბავშვების პირველი ნადირობა. რამდენსამე დღეს ეაკეზე გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ. როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდნენ ნახეს, რომ ორმოში ცალიერი ძელები და ეყარა. ამ ამბის შემდეგ მალე დიდი წყალ-დიდება მოხდა და მუხას მამა თავის მღვიმედან მთელი ოჯახობით უნდა გადასახლებულიყო. ამის გამო მეგობრები დიდხანს ვეღარ ხედავდნენ ერთმანეთს. ელომ ამ მახის გამართვაში იმოდენა გამჭრიახობა, სიმარჯვე და სიმამაცე გამოიჩინა, რომ ახლა იმას როგორც ბავშს ისე-კი არ უყურებდნენ—არამედ როგორც მომავალ მამაც მონადირეს. მაგრამ რომ ნამდვილი მონადირე გამხდარიყო, იმას ჯერ კიდევ ბევრი გამოცდილება და სწავლა ექირებოდა.

VIII

მღას მისწავლიბელი.

ზამთარში, როდესაც დედამიწა თოვლით მოიფინა, მთელი ოჯახობა გვირაბში იყო მომწყვდეული. როცა თოვლი პატარა იყო ეღოს მამა სანადიროთ დადიოდა ხოლმე, ის ფენის ნაკვალევზე სცნობდა საით რა მხეცს გაეელო. ელო თან არ დაჰყავდა, რადგან ძალიან ციოდა, ის დედასთან რჩებოდა სახლში, შეელოდა შინაურ საქმეში; ნაკერ-ნაკერ ხორცსა სჭრიდა და საქმელს ამზადებდა. უფრო ხშირათ მაშინ ხორცსა სწვამდნენ პირდაპირ გაღვიებულ ნახშირზე ან განურებულ აგურზე. მაგრამ ხორცის მოხარშვაც იცოდნენ: დიდ ამოფუღურებულ ქვაბში წყალს ჩაასხამდნენ, შიგ განურე-

ბულ აგურებს ჩაპყრიდენ, წყალს ისე აადულებდენ და მერე უშიგ წერილათ დაჭრილ ხორცს ჩააწყობდენ. ამ გეარათ მოხარშულ ხორცსაც და წვენსაც შეეკვებოდენ. ჩვენ ეს იქიდან ვიცით, რომ ახლაც ზოგიერთი ციმბირის და ჩრდილოეთ ამერიკის გარეული ხალხი ასე ხარშავს ხორცს. მწვანილის და ბალახის ძირებსაც ასევე ხარშებდენ. ნაცარი ან ლადარი ამოსვრილ საქმელს არა წმენდდენ, რადგან ნაცარი მარილის მაგიერობას უწევდა. როდესაც ბევრი ხორცი ან მწვანილეულობა ჰქონდათ, გაახმობდენ ხოლმე ცეცხლზე და დიღხანს ინახავდენ. აგრევე ახმობდენ ტყის ხილს, რომელიც პურის მაგიერობას უწევდა, მაშინ პურის თესვა და მოყვანა არც იცოდენ და არცა ჰქონდათ.

დედას ოჯახისთვის ტანისამოსიც უნდა მოემზაებინა. მაშინ ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, რადგანაც ტყავის მოჭქნა და გაკეობა არ იცოდენ. ჯერ ტყავს წვერიანი ქვით გაწმენდდენ, მერე ცოტათი გააშრობდენ და იმდენ ქონს წაუსვამდენ მანამ ტყავი დარბილდებოდა, მერე კაჟის დანით ოთხ-კუთხ ნაჭრებათ დასჭრიდენ და ხორცის ძარღვებით მიიბამდენ ერთმანეთს. რადგან მაშინ ნემსი არა ჰქონდათ მის მაგიერ ძელის სადგისს ხმარობდენ. ამ გეარათ შეკერილ ტყავიდან თბილი წამოსასხმელის ნაირი ჩასაცმელი გამოვიდოდა ხოლმე. ქული და ფენსაცმელი მაშინ არ იყო.

ელა ტანისამოსის შეკერვაშიაც შეელოდა დედას, მაგრამ მართა ეს არ იყო ედოს საქმე. იმას უნდა მოემზადებინა იარაღი, რომელიც აუცილებელი საქირო იყო, როგორც მონადირესთვის ისე მგომარისთვის. მაშინ მართა კაჟის იარაღს ხმარობდენ, რადგან რკინის ხმარება ჯერ არ იცოდენ. კაჟისგან აკეთებდენ: ცულოს, დანას, ხანჯალს, შუბებს, ისრებს და ბევრ კიდევ სხვა იარაღს. ერთ ნაჭერ კაჟს აიღებდენ და ქვით დაუწყებდენ თლას მანამ საქირო ფორმას არ მიიღებდა. ყველა მონადირე იარაღს თითონ იკეთებდა, მაგრამ ყველას ისე მარჯვით და კარგათ ვერ შეეძლოთ გამოყვანა როგორც რიგი იყო. თუმცა მამა ედოს იარაღის გაკეთებას ასწავ-



ლიდა, მაგრამ მაინც იმ დროსთვის ისე კარგი ვერ გამოჰყავდა როგორც საქირო იყო.

საბედნიეროთ ეღოს მეორე მასწავლებელი გამოუჩნდა, რომელსაც მოხუცი მოკა ერქვა. ის როგორღაც შემთხვევით შემოვეცდლა იმათ მღვიმეში და დარჩა. ოდესმე თურმე განთქმული მონადირე იყო, სიყმაწვილეში საშიშარ მხეცსაც-კი შებრძოლებოდა და თავი ცოცხალი დაეხწია, მაგრამ სამუდამოთ-კი მახინჯათ დარჩენილიყო. ნადირობა იმას მართალია აღარ შეეძლო, მაგრამ ყველასათვის სასიამოვნო სტუმარი იყო, რადგან მეტათ ლამაზათ მოჰყვებოდა ხოლმე ნადირობის ამბებს. ამასთან ძალიან კარგათ იცოდა იარაღის კეთება. ეღოს მამა და მოკა დიდი ხნის მეგობრებიც იყენ და ამიტომ ის თითქმის ოჯახის წევრათ შეიქნა. მოკას ჭალარა, გაჩეხილი თმა ჰქოდა და უშნო წვერები. საცოდავი შესახედავი იყო, როდესაც ის თავისი დამახინჯებული ფეხით ძლიეს დაბაჯბაჯებდა, მაგიერათ ისეთი მგრძნობიარე თვალეები ჰქონდა, ისეთი ცოცხალი ლაპარაკი, რომ ყველას თავს აყვარებდა და ეღომაც ძალიან შეიყვარა. მოხუცი და ახალგაზდა აღარ შორდებოდენ ერთმანეთს. ხშირათ მუხაც მიეცედლებოდა და სამივე ერთათ მუშაობდენ უფრო ღამ-ღამე. მათი სანათი ცეცხლის ალი იყო, მაგრამ იმისთანა მშენიერი მჭრელი იარაღი გამოჰყავდა მოკას, რომ მთელ იმ მხარეზე ვერაინ შეედრებოდა.

მოკას მოუტანდენ ხოლმე კაჟის ნაჭრებს ანუ კოშტებს, რომლებიც მსხალსა ჰგენდა და ქეასავეთ მაგარი იყო, მაგრამ როგორც კი მაგრათ რამეს დააჭერდი, მეტადრე მიწიდან თუ ახლათ ამოღებული იყო, ნაჭერ-ნაჭერათ დაინტერეოდა. ამ კოშტების შუა-გული ძალიან მაგარი იყო და მშენიერი შუბის წვერი კეთდებოდა. ცულსა და ჩაქუჩს სიბის ქვისას აკეთებდენ და იმათ გასაკეთებლათ ძალიან დიდი სიმარჯვე და მოთმინება იყო საქირო. უბრალო გაუფუთხილებლობით შესაძლებელი იყო მთელი კვირის მუშაობა გაჟუჭებოდათ. იარაღი შუაში უნდა მაღალი და სქელი ყოფილიყო და გვერ-

დები-კი მკრელი, ამისთვის თვალის სასწორე და ხელის სამარჯვე იყო საჭირო.

ეღო მშრომელი და ნიჭიერი მოწაფე გამოდგა. მოკა იმას ჯერ პირველში მზა გაკეთებულ იარაღის შელამაზება-გაშალაშინების ნებას აძლევდა. მერე თითონ ეღო თავისუფლათ ნანტერეების ან უხე-ირო ქვების იარაღს აკეთებდა. ჯერ ბავშვს ძალიან უძნელდებოდა და ბევრ ქვასაც აუჭუჭებდა. ეღოს რომ მოთმინება და ნიჭი არ ჰქონოდა იმ ღრობის განთქმული იარაღის გამკეთებელიც არ გამოვიდოდა; მაგრამ იმას ერთიც და მეორეც ბევრი ჰქონდა და მალე მასწავლებლის ქებაც დაიმსახურა. ბავში მთელ დღეს მუშაობდა, ქვებსა თლიდა და ცდილობდა, რომ თავის მასწავლებლის მოკას გაკეთებული იარაღის მსგავსი იარაღი გაეკეთებინა. ის ძალიან სწუხდა ხოლმე, როცა იმისა გაკეთებული დანა ძალიან თხელი გამოდიოდა და მალე ინტერეოდა. ჰკითხავდა ხოლმე ამის მიზეზს და მოკაც უხსნიდა. თანდათან ეღამ თავისი მოთმინებით და შრომით მიიღწია იქამდის, რომ მამაზე უკეთეს იარაღს აკეთებდა.

ეღოს დედას არა ჰქონდა იმისთანა ჭურჭელი, როგორც წინათაც ვთქვით, რომ გახურებული ქვებით წყალი აედუღებინა. ისინი ტიკივით შეკერილ ტყავის ტომარაში ჰყრიდნენ გახურებულ ქვებსა და ისე აცხელებდნენ წყალსა. ტომარა ხშირათ იწოდა და ფუჭდებოდა. ახლა ეღომ რაკი ქვის თლა შეისწავლა შეეძლო ამოფურობული ქვის ჭურჭელიც მოემზადებინა. ამ გეარო ჭურჭელი ძალიან საჭირო იყო ოჯახისთვის, რადგან მაშინ თიხის ჭურჭელის კეთება არ იცოდნენ.

ეღო დედისათვის დიდი ქვაბის მომზადებას შეუდგა. მუხანსა და სხვათა დახმარებით დიდი ქვა შემოათრია და მოკამ ნახშირით დაუხანა, რამსიგანე და რამსილომე უნდა ამოეთხარა ქვა, რომ კარგი მოზრდილი საოჯახო ქვაბი გამოსულიყო.

ეღომ მხიარულათ დაიწყო მუშაობა, ორი დღე თავაუღებლივ ქლიბამდა ქვას, მაგრამ ძალიან სწუხდა, რომ ამოდენას მუშაობდა



და ქვას-კი არა ეტყობოდა-რა. კაჟის ქლიბი ირმის რქაშია და ვაჟაბა-
რა და ისე დაუწყო ქლიბეა, მაგრამ მაინც საქმე წინ არ მიდიოდა.
ბოლოს ეს მოიფიქრა: დიდ მძიმე ტოტს ერთ მხარეზე ქვის სათლე-
ლი დიდი დანა მოაბა, მეორე მხარეს მძიმე ქვა ჩამოჰკიდა და რო-
დესაც ეს იარაღი მაგრათ ქვაზე დაეცემოდა, ბლომით ამოამტვრედა
ხოლმე. ამ გვართ საქმე უფრო წინ მიდიოდა და რამდენსამე დღე-
ში იმოღვნა ამოთხარა, რომ ბლომით წყალი გაცხელდებოდა და
ხორციც მოიხარშებოდა მაგრამ ეს არ კმაროდა, ედომ მაინც გა-
ნაგრძო მუშაობა იქამდის, მინამ ქვა ქვაბის მსგავსათ არ გააკეთა.
საბედნიეროთ იმ დღეს ირმის ხორციც ჰქონდათ სახლში, ხორცი
დასჭრეს დიდ ნაჭრებათ, ჩაჰყარეს ქვაბში, ჩაასხეს წყალი, დიდი ცეცხ-
ლი დაანთეს, გაახურეს ბლომით ქვები და ქვაბში ჩაჰყარეს. როცა
წყალი ადუღდა და ხოცი მოიხარშა, მთელი ოჯახი ქვაბს გარშემო
შემოუხსნდა; ლოკოკინებით წვეწვს გემრიელათ შეექცეოდნენ და
ხორცს-კი ვათლილ წერილი ჯოხებით იღებდნენ. ჯერ იმათ ასე ერ-
თათ და მადიანათ საქმელი არ ექმათ. ყველას კარგათ ეს-
მოდათ, რომ ეს ედოს წყალობა იყო და ყველანი ამით მხიარუ-
ლობდნენ.

მოკა აქებდა ედოა უფრო იმისთვის, რომ ახალი ქვის ამო-
საფურელი იარაღი გამოიგონა. მას აქეთ ამ იარაღს კაჟის დასამტე-
რევათაც ხმარობდნენ. კაჟის ნანტვრეეებიდან-კი დანებს, ისრებს, შუ-
ბებს აკეთებდნენ. ამას შემდეგ მოკა და ედო ერთათ მუშაობდნენ. მო-
კას საჭრელი ეჭირა და საცა საჭირო იყო უმიზნებდა და ედო-კი
რაც ჯანი და ღონე ჰქონდა აწებოდა. მუშაობა სწრაფათ და კარგათ
მიდიოდა. ედო ირმის რქისაგან სხვა-და-სხვა ნივთების კეთებას სწე-
ლობდა, მაგალითათ: ისრის წვეწვს და თევზის დასაჭერ კაჟს, აკეთებ-
და გარეული ხარის და კამბეჩის რქებისაგან წყლის სასმელ ჭურჭელს.
ბებერმა მოკამ მამონტის ძელებზე სხვა-და-სხვა ფიგურების ამოჭრა-
ც იცოდა და უნდოდა ედოსთვის ესწავლებინა, მაგრამ ეს ერთობ წმინ-
და და გვიანი მუშაობა იყო და ედოს არ მოსწონდა. ის ცდილობ-

და შეესწავლა იმისთანა ხელობები, რომელიც აუცილებელია საქონლისათვის. როცა იყო ყველა იმ დროის მონადირესთვის.

ელა და მუხა თან-და-თან უფრო და უფრო ხელს იწაფადენ ნადირობაში. ერთ ღამეს ელამ მღვიმეში ორი პატარა ლეკვების მსგავსი მხეცი მოიყვანა და მაგარი თასმით დააბა, ესენი მგლის ლეკვები იყვნენ. ერთი წყვილიც მუხამ წაიყვანა. ეს მგლის ლეკვები იზრდებოდნენ და მანამ პატარები იყვნენ ელას პატარა ძმას და დას ეთამაშებოდნენ, როცა წამოიზარდნენ ბაეშებს კბენა დაუწყეს და ამიტომ კარში გამოჰყარეს. ისინი ისე შეეჩვივნენ ადამიანთან ცხოვრებას და იმათი მონარჩენით კვებვას, რომ ყოველ საღამოს მოდიოდნენ კარებთან და საკმელს თხოულობდნენ. შემდეგ თავისი ლეკვებიც მოიყვანეს, რომლებიც დედ-მამაზე უფრო მშვიდობიანი იყვნენ. მგლის შემოჩვევა და გაშინაულება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ, რადგან მაშინ ადამიანს არა ჰყავდა ნამდვილი თანაშემწე და ყურის მგლებელი, ამიტომ მოიშინაურეს და დაარქვეს ძაღლი.

თუ ახალგაზდა ყმაწვილებს ჯერ დიდრონ მხეცებზე არ შეეძლოთ ნადირობა მაგიერათ ძალიან მარჯვეთ ხოცადენ ფრინველებს. არაეის არ შეეძლო იმათზე მარჯვეთ მახის დაგება და არც ქვით ფრინველის მოკვლა. ისინი ტყეში და ჭაობებში ნადირობდნენ კაკაბზე და ტყის ქათამზე. მდინარეებში და ტბებში იხესა, ბატსა და წყლის ქათამს დასდევდნენ. იმ დროს იმოდენა იხვი იყო, რომ მთელი გუნდი მოგროვდებოდა ხოლმე წყლის პირას და იქვე ბუჩქებში დამალული ყმაწვილები ერთ ქვას რომ გადაისვრიდნენ რამდენიმეს ხოცდნენ. ახლანდელმა ბავშვმა რომ ჩაიღინოს ამ გვარი საქმე ძალიან გასაკიცხი იქნება, მაგრამ მაშინდელი ბავშვები პატარაობითვე ნადირობას ეჩვეოდნენ, რადგან ეს იყო მათი ერთათ-ერთი ხელობა და ამ ხელობით მთელი ოჯახი უნდა შეენახათ.

ნელ-ნელა ყმაწვილები მსხვილი ნადირის მოკვლასაც ეჩვეოდნენ. იმ დროს ტყეში ბევრი ღორი და ტახი იყო, მეტადრე ტახი ძალიან ღონიერი და ბრაზიანი მხეცია, დიდრონი ეშვებით. ყმაწვი-



ლებს იმოდენა ღონე არ ჰქონდათ ჯერ რომ თავიანთ შუბებით იმათთან ებრძოლათ და ამიტომ უფრო გოჭებს ეტანებოდენ. ჩვენ პატარა მონადირეებს მეტათ უძნელდებოდათ ციყვის და განსაკუთრებით კურდღლის დაჭერა. მაგიერათ ძალიან მარჯვეთ იჭერდენ სოროში მცნოვრებ მხეცსა, მაგალ. კვერნას, ვირთხას და სხვ. სოროში შეამწყდედენ ლოკოკინით, რომელიც ყოველთვის თანა ჰქონდათ, ამოთხრიდენ ზევიდან და დიდრონი წვეტიანი, ცეცხლზე შერუჯული, კეტით გამოიყვანდენ. ძალიან ძნელი იყო ამ ღონიერ და მარჯვე ყმაწვილების ხელიდან თავის დახწევა. ყველაზე უფრო დედოფალას დაჭერა უყვარდათ; ხორცსა სკამდენ და კბილებს-კი ძაფზე ააგებდენ და ყელსაბამათ ხმარობდენ.

ყმაწვილებს დიდრონ მანებებელ მხეცებთან შებრძოლებისა ძალიან ეშინოდათ, თუმცა-კი, როდესაც პატარა ლეოპარდი ან გარეული კატა შეხედებოდათ არ გაურბოდენ ხოლმე. წერილ ფეხა მხეცებში ყველაზე უფრო როსსომახის შეხედრა უხაროდათ: იმის ტყავის ტანისამოსს იცვამდენ მაშინ და მოკვლაც ძნელი არ იყო. იმას ძალიან ადვილათ მოიტყუილებდენ ხოლმე; ერთი ნაჭერი ხორცი რომ მიეგდოთ მაშინვე ზედ დაეცემოდა და რამდენიმე შუბის დარტყმით იქვე ჰკლავდენ.

კბ. მ - სა.

(შეძღვებო აქნება)





ა კ რ ი ლ მ ა ნ ი.

(წარმოდგენილია კ. ფრონისპირელისგან).

დიადი მთვარე, შუქ-მომთინარე—
 აურქვევეს ვით სხივებს დედამიწაზე,
 ვით შველის ნტყრი ისე კრთის მუღამ
 იმისი თვალი დედამიწაზე,
 თვით ასე იყო იგი ლომ-გული.
 არ ეშინოდა მოსისხლვ მტრისა...
 ლაღადებოდა ლაშქრათ ვიდრედა,
 მუღამა ტრფობ ჰქონდა ქვეყნისა.
 ათი ათასი მტერი კარზედა
 შიშით და ძრწოლით გარს ეხვეოდა;
 ერთ ქართველს დეე-გმირს სახელოვანსა
 ნახვის უმალევე ემონებოდა.
 ერს თხოვდა მუღამ სასოვბითა,
 ბოროტება რომ გადაევიწყათ;
 ერთვისმე ბოროტს თუ იბოვიდენ
 ლანძღვით და თრევით ცეცხლში დაეწვათ.
 იმისი ნაშთი დღესაც გვაგონებს
 აწმყოსა, წარსულს და თან გვალონებს.



ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი კ. სენნაშვილისაგან).

კაცმა მძებნელმა ცოცხლისამ მკვდარიც ვერ მოიძიაო.

(წარმოდგენილი გ. პოკრასაგან).

საშოვარი კარგია, ნაშოვარი ძვირფასი.

რა დღეს მზე არ ანათებს ის დღე ღამის დარიოა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი კ. ფრონისხიშვილისაგან).

ერთი მუცელი, თორმეტი ფეხი და ოთხი ქალამანი.

 ბოლო მაკრატელა მქეიან,
 გვერდზე ფრთები მასხიაო,
 ჩვენი ტანი სამშობლოში
 ხშირათ არა მარხიაო.

 ერთი რამა სულიერი,
 ჭკუაზე ცოტა თხელია;
 არ გაეცევა არაფის
 გინდ დაინახოს მგელია.

 ფრინველი არის ერთი რამ
 კული აბია პატარა,
 იგი ერთხელ ქვე-მძრომობდა
 და ბოლოს ფრინველათ გამხდარა.

ე ზ ი ტ ე ზ ი ს ი.

(წამოდგენილი არს. გულისაშვილისგან)

მ—რ—ა—ი—ი ა—ე—ს მ—ხ—დ—ს უ—ა—ყ—დ—ო
უ—ა—რ—ლ—თ.

ა ნ ა გ რ ა მ ა.

(წამოდგენილი ვ. საყვარელიძისგან).

შემოდგომისა ხილია
აქვს მოყვითალო: ფერია,
ზამთარში ყველა ნატრულობს
მღვდელი, ერი თუ ბერია.
გადასე-გადმოსევით აქა იქ
ამ ხილის ყველა მარცვალსა,
მაშინ მიიღებთ სახელსა
ბევრი სენისა წამალსა.

შ ა რ ა ღ ა.

(წამოდგენილი ვ. სესნაშვილისგან).


ლამისა მნათობი არის,
კაშკაშებს ლაქვიარდ ცაზედა,
ტურფათ ანათებს ქვეყანას,
არ გაიცვლები სხვაზედა.
სახე აქვს ნაზი, კრიალა
ნაბანი ლამის ცვარზედა.
ის იმედს აძლევს მგზავრებსა
მიმავალთ შორსა გზაზედა.

რებუსი

(წარმოდგენილია ღ. კასრძისხვან).



ღ



რ



სრც ქლას-
ქი, სრცსო
ფელი



რ




მ
ს

გასათესი უღეს რა
მოსდევს?


მ
ს

დედელი
ირემი



ს

უარი



ე

ვაზის
ბოძი

ანხსლი
ანუ?

ნ
ო



ა 100



მ

ჟ

ლ

ღამეს რა
მოსდევს?

თ

ერთი ფრინველი თა-
ვის სასკელს როგორ
იძახის?

ს
ს



ე
ს



ს



ბ

ტოდის
მული

ი
ს

მზე რომ
ანათებს
რა დროა?

პ
რ



ვ
ვ



რაში გიჭი-
რათ წიგნი?



გ ჯ, დ
, ჯ, ჯ

პირველი
ქალი?

ს

ს გ
დ დ



№ VI გამოცანებისა.

აკროსტიხი: ყანა.

ანაგრამა: სახმარი—სამარხი—სამხარი.

გამოცანები: 1) თუთუნი, 2) მაკრატელი, 3) ლოგინი.

შარადა: დათვი.

ზმა: ვალი, დაფით, ასი, ქარი, ელია, ნამი, დილა, ობი, ზეთი, ხარი, ბია, ენა.



საქმაწვილო ნახატებიანი ყუყუნალი



„ჯეჯილი“

წელიწადი მეთორმეტე

გამოდის 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორც აქამდის.

ყუყუნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ყუყუნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — წერა-კითხვის გამ. საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джѣджили“.*